გუშინ გამგაცვლელებმა გამოსასყიდის გარეშე გაათავისუფლეს მძევლად აყვანილი გაეროს მისიის ყველა თანამშრომელი

პრეზიდენტი

როგორ სრულდება საერთაშორისო საგალუტო ფონდის წინაშე საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულება

— ეს მნიშვნელოვანი საკითხი განიხილეს 10 ივნისს ქვეყნის ეკონომიკური სამსახურების ხელმძღვანელებმა სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ სამუშაო თათბირზე, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

„საგალუტო ფონდის მისია საქართველოს 22 ივნისს ეწვევა. მესრულდა თუ არა მათი მოთხოვნები, გავითვალისწინეთ თუ არა მენიშვნები და მოვემზადეთ თუ არა მისიის ღირსეულად დასახვედრად?“ — ამ შეკითხვით მიმართა ედუარდ შევარდნაძემ თათბირის მონაწილეებს.

ძირითადმა მომხსენებლებმა საქართველოს პრეზიდენტის თანამშმეგმა ეკონომიკურ საკითხებში თემურ ბასილიამ და ფინანსთა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა ისაუბრეს სადღეისოდ არსებულ ვითარებაზე. მათი განმარტებით, თითქმის გადალახა ეკონომიკის სფერომი 1998-2000 წლების საგალალო მოვლენათა შედეგები, დამაკმაყოფილებელია მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, თუმცა ეკონომიკაში გამოკვეთილი დადებითი ტენდენცია ჯერ კიდევ ვერ აისახა ფისკალურ პოლიტიკაში.

იხ. მე-2 გვ.

ფაქტი

უსასყიდლოდ, მოლაპარაკების მეშვეობით

კოდორის ხეობის პატრულირების დროს 5 ივნისს გატაცებული გაეროს დამკვირვებელთა მისიის თანამშრომლები — ორი გერმანელი და ერთი დანიელი ოფიცერი, ასევე მათი ქართველი თარჯიმანი მძევლობიდან გაათავისუფლეს.

სოფელ აკარამი ჩასვლის შემდეგ ყოფილი მძევლები ვერგმფრენით თბილისში გადაიყვანეს.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ამგვიანებენ, რომ მძევლებში არანაირი გამოსასყიდი არ გადაუხდიათ და ისინი მოლაპარაკებების შედეგად გაათავისუფლეს.

ამავე დროს, გამგაცვლელებთან მიღწეული მეთანხმების შესაბამისად, მათი ვინაობა არ სმაურდება.

ახალი ამბების სააგენტო „პრაიმ-ნიუსი“.

„ დილა ამ გაზეთის გადამლით დაიწყეთ...“ ჯეიმს ჯოისი

„საქართველოს რესპუბლიკა“ ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

The Georgian Railway Ltd

საქართველოს რესპუბლიკა

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №151 (4530) ოთხშაბათი, 11 ივნისი, 2003 წელი. ფასი 50 თეთრი.

თანამშრომლობა

ქართველი მეცნიერები — ნატოსთან ინტეგრაციის პროცესში

— სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა, მეცნიერთათვის სტიპენდიების გამოყოფა, სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარება, მეცნიერება მშვიდობისათვის, — ამ ოთხი კომპონენტის რეალიზებას ისახავს მიზნად ნატოს სამეცნიერო პროგრამა, რომლის კავკასიის რეგიონში პასუხისმგებელი და ასევე ნატოს „კომპიუტერული ქსელებისა“ და „მეცნიერება სიცოცხლის შესახებ და ტექნოლოგიების“ პროგრამების დირექტორი ვალტერ კაფენბერგერი საქართველოს 10 ივნისს ოფიციალურ ვიზიტად ეწვია.

ექსპერტის ვიზიტი „საქართველო ნატოს ხელშეკრულების ორგანიზაციაში“ ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრით დაიწყო.

— ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ნატოსთან პარტნიორობის პროექტებში ქართველი მეცნიერების აქტიურ თანამშრომლობას. ეს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრირების პროცესს, — განაცხადა ვალტერ კაფენბერგერმა.

იხ. მე-2 გვ.

გუშინ

ავტოტრანსპორტელები მხარს უჭერენ სახელმწიფოს აღმშენებლობის კურსს

საქართველოში დარგობრივი ნიშნით შექმნილ კავშირებს თუ გაერთიანებებს კიდევ ერთი — „ავტოგრანსპორტელთა დარბაზი“ შეემატა, რომლის დამფუძნებელი კონფერენცია 10 ივნისს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა.

კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, სხვა ოფიციალური პირები.

„ავტოგრანსპორტელთა დარბაზის“ დებულების პროექტი შეკრებილთ გააცნო პროფესორმა რევაზ თეიდორაძემ. კავშირის ძირითადი ამოცანაა ავტოსატრანსპორტო საქმიანობის მარეგულირებელი ძირითადი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის დახვეწაში მონაწილეობის მიღება.

იხ. მე-2 გვ.

დამშვიდობება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 7 ივნისი ქ. თბილისი

იოსებ კიკვაძის დირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ომის ვეტერანთა მოძრაობის განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ოზურგეთის რაიონის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე, სოფლის მეურნეობის დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი **იოსებ კიკვაძე** დაჯილდოდეს ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

გიხარიან!

ეს თვალსატაცი ნინო ქვარიანი

5 ივნისს სხვა ახალშობილებს შორის ერთი ლამაზი გოგონაც შეემატა საქართველოს. იგი ჯერ-ჯერობით ყველაფერში პირველობს — არის მშობლების თამარ ქაჯაიასა და ბაალ ქვარიანის პირველი შვილი და ქვარიანების ოჯახის პირველი შვილიშვილი. მშობლებმა გოგონას მამიდის სახელი ნინო დაარქვეს. პაპარას დაბადებამ ოჯახთან ერთად დიდად გაახარა სანათესაო და სამეგობრო.

პირველ შვილს ვულოცავ თამარს და ბაალს. ბედნიერებას და ულევ სიხარულს ვუსურვებ, მამიდობას ვულოცავ ნინო ქვარიანს, ციალა სახელმფილსა და აველი ქვარიანს კი ბედნიერ ბებია-ბაბუობას და შვილიშვილთა სიმრავლეს ვუსურვებ.

თეონა ლომთაძე.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

პოზიცია

პოლიტიკოსთა ჭარბწარმოება და პოლიტიკური აზროვნების დეფიციტი

საქართველოში ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ფრიად პესიმისტური დასკვნების საფუძველი შეგვიქმნა ჩვენი პოლიტიკური კულტურის განვითარების თვალსაზრისით. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, აგერ უკვე ათ წელზე მეტი იქნება, რაც მაგათ იმის დამტკიცება სურთ, რომ პოლიტიკა შეგი არაფერია, თუ არა ადამიანების მიერ ერთმანეთის მისამართით ლაფის გაბერებული სროლა და პიროვნებათა პირადი არსებული თუ არარსებული ნაკლის ფართოდ წარმოჩენა, შუსგად ისე, როგორც ეს მიღებულია უსაქმურ ჭორიკანების შორის, სადაც ერთი ყველას აფურთხებს და ყველა — ერთს. უბედურება ისაა, რომ რაც მეგი დრო გადის, ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება მით უფრო ემსგავსება უსაგნო და ხმაურიან აყალ-მაყალს.

ამიგომაც უკვე დამკვიდრებულია ჩვენში მოსაზრება, რომ პოლიტიკა ეს ისეთი სფეროა, სადაც ადამიანისათვის ერთადერთი რამაა აუცილებელი — სინდისთან შეწყარალად ყოფნა.

იხ. მე-3 გვ.

ინფორმაცია

აპლანეთი ტრასეკას შეუერთდება

ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანში მალე შემოვა ახალი ქვეყანა — აღდანეთი. ამაში აქტიურ როლს ასრულებს საქართველო. კერძოდ, აღდანეთში საქართველოს საელჩოს ხელშეწყობით გაიმართა ტრასეკას საპარლამენტაშორისო კომისიის მუდმივი საშდეგნოს წარმომადგენელთა ვიზიტი. აღდანეთის მხარემ, როცა ტრასეკას პროგრამას გაეცნო, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებასა და სავაჭრო ურთიერთობის განმტკიცებას, მადლობა მოახსენა საქართველოს ამ ინიციატივისათვის და საგანგებოდ აღნიშნა, რომ მზად არის მონაწილეობა მიიღოს ამ პროექტში.

პრობლემა მოიხსნება

„თბილგაზის“ რეაბილიტაციისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი 4,2 მლნ. ლარის სრულად ათვისების შემდეგ, თბილისში ბუნებრივი გაზის წნევის ვარდნის პრობლემები აღარ იქნება, — ირწმუნება „თბილგაზის“ ტექნიკური დირექტორი თენგიზ არშილავა.

უკვე შედგენილია გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების გეგმა, რომლის თანახმადაც აღდგება გამანაწილებელი ქსელის დაზლილი რგოლური სისტემები, რაც ნუნუბიძის პლატოზე, ვაშლიჯვარსა და დიდ დიღომში წნევის ვარდნის შესაძლებლობას გამორიცხავს.

„ქართლი - 2“ მზად არის

10 ივნისს დამთავრდა ელექტროგადამცემი ხაზის „ქართლი-2“-ის სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოები, რომელიც საქმეთო სამოგადოება „სქროსენერგო“ აწარმოებდა. ამის გამო, საქმეთო საზოგადოება „ეი-ოეს — თელასი“ იძულებული იყო ორი კვირის განმავლობაში შეფერხებებით მიეწოდებინა ელექტროენერგია თბილისისათვის. უახლოეს ხანში „სქროსენერგო“ იგივე სამუშაოებს შეასრულებს ელექტროგადამცემ ხაზზე — „იმერეთიზე“. ესეც რამდენიმე დღის განმავლობაში უარყოფითად იმოქმედებს დედაქალაქში ელექტროენერგიის მიწოდებაზე. და მაინც, ამ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ „სქროსენერგოს“ ელექტროგადამცემი ხაზები პრაქტიკულად მზად იქნება ნორმალური შუშაობისათვის მომავალ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში.

„იბერას“ სადამსჯელო ღონისძიება

თბილისს მიერ აპრილსა და მაისში მოხმარებული ბუნებრივი გაზის საფასურის გადუხდელობის გამო „იბერიასა“ ბოლო ორი თვის განმავლობაში ბუნებრივ გაზს ნაკლებ იღებდა. ამ „თბილგაზის“ მიმართ სადამსჯელო ღონისძიების გატარება გადაწყვიტა. გუშინ დილიდან თბილისს ბუნებრივი გაზის მოცულობა გაუნახევრდა.

საპარლამენტო ასამბლეის სესია

ოდესაც ედეკალაქში გუშინ გაიხსნა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის 21-ე სესია.

დღის წესრიგშია შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკის, ვაჭრობის, ტექნოლოგიების, კულტურისა და ეკოლოგიის პრობლემათა განხილვა.

შეიქმნა ახალი თეატრი

თბილისს თეატრების ანსამბლს შეემატა კიდევ ერთი პროფესიული შემოქმედებითი კოლექტივი — „ქართული ნოველის თეატრი“. მას საფუძველი მსახიობმა პავლე ნომაძემ ჩაუყარა.

ახალი თეატრი უმოკლეს ვადაში მაყურებლის წინაშე წარსდგება პირველი შონოსპექტაკლით, რომელიც წარმოაჩენს მე-20 საუკუნის ისტორიულ კატაკლიზმებს, დანახულს ქართველი გლეხის თვალით.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქმნფორმაცია, ინტერ-პრესმა.

დედაქალაქი

თბილისი. ხედი მამადავითიდან. ჯემალ კასრაძის ფოტო.

მე საქართველოს ვარ მოძალადე

„დედა-მვილობამ, ბევრს არ გთხოვ...“

ეს წერილი მიხეილ ჯავახიშვილის „მიწის ყივილის“ გადაკითხვით დავიწყე, ანდრე კამორის (ანდრი კაიმაურის) და მიხეილ ქავთარაძის ცხოვრების საოცარმა მსგავსებამ მაიძულა.

გახსოვთ: „ნადირი სანადიროდ გავა, ფრინველი — საკვებისთვის, ადამიანი — საბრძოლველად და სამუშაოდ. მერე ყველანი დაბრუნდებიან: მხეცი ისევ ბუნაგში შევა, ფრინველი ბუდეს მიაშურებს, ადამიანი — თავის ქოხს. მე კი წამოვედი და ვეღარ დავბრუნდი... ვიბრძოლე, ვიმუშავე, აღარაფერი მემრწა, გარდა ოთხმოცდარვა წლის გვირთისა. მძიმეა, მეგად მძიმე გვირთია, დღეს თუ ხვალ უნდა გამსრესოს... იმდენი ვიხეტიალე, რომ დედ-მამის სახელიც კი დამავიწყდა. საკუთარი გვარიც...

იხ. მე-2 გვ.

დღის ანეკდოტი

ჩვენი მოსახლეობის პრაქტიკულად 100 პროცენტი სიტყვას „ქმარა“ ერთსა და იმავე რითმას მიუსადაგებს.

უკანასკნელ საათს

ისრაელს შეიარაღებულმა ძალებმა ჩაატარეს სპეციალური ოპერაცია, რომლის დროსაც ვერგმფრენებიდან დაცხრილეს „ჰამასის“ ლიდერის აბდელ აზიზ არ-რანგისის ავტომანქანა. იგი მსოლოდ დაჭრილი და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. დაიღუპა ქალი და ბავშვი. 27 კაცი დაიჭრა.

ლონდონში გრძელდება ახმედ მაკაევის საქმის სასამართლო მოსმენა. გუშინდელ სხდომაზე დაწვრილებით განიხილეს სხვადასხვა დროს რუსეთის ხელისუფლების მიერ დაპატიმრებული და გასამართლებული ჩეჩენი ხელმძღვანელების ბედი. ამას გარდა, სასამართლოს განიხილა ეს ოთხი მოწმის მოსმენა.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში ქარი 10-15 მ/წმ. დაბლობში ღამით +16°, დღისით +30°, მთაში ღამით +12°, დღისით +29°, მაღალ მთაში ღამით +8°, დღისით +23°.

აღმოსავლეთ საქართველოში ბარში ღამით +15°, დღისით +29°, მთაში ღამით +11°, დღისით +26°. მაღალ მთაში ღამით +6°, დღისით +21°.

თბილისში ღამით +15°, დღისით +29°.

ლარის კურსი

7 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები

ინგლისური გირვ.	1	3.5840	ლარი
აშშ დოლარი	1	2.1550	ლარი
ევრო	1	2.5507	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0705	ლარი.

ინტერპანორამა

ბუენოსაიერესში ტუსაღებს უშუალოდ სამხედრო ბაზაზე დასჯიან. ამისათვის აქ ამმზადებენ სასამართლოსა და სასიკვდილო განაჩენის აღსრულებისათვის საჭირო ნაგებობათა მოწყობის გეგმას, ახლა იქ ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვმიტანილი დაახლოებით 680 კაცია.

ერაყში აღმოაჩინეს არაბი მოხალისეების სამმო საფლავი, რომლებიც ამბობენ დახოცეს, რომ მათ უარი განაცხადეს ქუთის ბრძოლებში მონაწილეობაზე.

ბრიტანეთი მეცნიერის განცხადებით, სამყაროს აღსასრულის შანსი ორმოცდაათი ორმოცდაათია. შუსგად ერთი საუკუნის წინათ ეს მაჩვენებელი ოცი ოთხმოცზე იყო, მაგრამ ბირთვული იარაღის გაჩენამ, ბიოგენეტიკურმა პროგრესმა და ეკოლოგიურმა კრიზისმა დრამატულად გააუარესა ეს შეფარდება.

ბოლოს „საქართველოს რესპუბლიკა“ — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

— მარ შრომის II ჯგუფის ინვალიდი, 28 წლის. ინვალიდობა სავგომობილო კატასტროფაში მოხვედრის შედეგად მივიღე. გთხოვთ, განმიმარტოთ, უფლება მაქვს თუ არა მივიღო შუშაობის პერიოდში ხელფასი და პენსია სრულად?

ნიკო ცოფაია.

— მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შრომის II ჯგუფის ინვალიდები (მიუხედავად იმისა, თუ რა მიზეზით იყო გამოწვეული მათი ინვალიდობა) მუშაობის პერიოდში პენსიის მიღების უფლებას ვერ იპოვებენ.

ირინე ლლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

საქართველოს რესპუბლიკა
№ 151, ოთხშაბათი, 11 ივნისი, 2003 წელი

ПРЕЗИДЕНТИ

საგანგებო თათბირი პენიტენციალური სისტემის პრობლემებზე

10 ივნისს საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან გაიმართა სამართალდაცვის ორგანოების ხელმძღვანელთა საგანგებო თათბირი.

განიხილეს პენიტენციალურ სისტემაში არსებული მდგომარეობა, იმსჯელეს იმ პრობლემებზე, რომლებიც ბოლო დროს დაგროვდა და რომელთა აღმოუფხვრელობა სერიოზულ სირთულეებს შეუქმნის ქვეყანაში წესრიგსა და ნორმალურ ცხოვრებას.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის როლანდ გილიგაშვილისა და გენერალური პროკურორის ნუგზარ გაბრიჩიძის ინფორმაციების მოსმენის შემდეგ თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს თათბირის მონაწილეებმა.

საქართველოს პრეზიდენტმა დაავალა სამართალდაცვის ორგანოების ხელმძღვანელებს, მაქსიმალურად მოკლე დროში უმრუნველყონ საპატიმროებიდან გაქცეულთა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დაბრუნება, გამოძიებამ კი დააჩქაროს მათი საქმეების სასამართლოში წარმართვა. ამასთან ედუარდ შევარდნაძემ კონკრეტული დავალებები მისცა შესაბამის სამსახურებს, უსწრაფესად გამოასწორონ სასჯელაღსრულების სისტემაში შექმნილი ვითარება და მოითხოვა დაჩქარდეს მუშაობა სასჯელაღსრულების კოდექსზე.

საქინფორმი.

როგორ სრულდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულება

ПЕРВОЕ ИЗ ПЕРВОГО

გამომსყიდველობამ ყურადღება მიაპყრეს ენერგეტიკის სფეროში არსებულ პრობლემებს, ასევე აღნიშნეს, რომ საჭიროა გაიმიჯნოს ნავთობპროდუქტების, თამბაქოსა და მარცვლეულის დაბეგვრიდან მიღებული შემოსავლები. ითქვა ისიც, რომ ქვეყნის ეკონომიკაში კვლავ ჭარობს ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი. მომხსენებელთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა სხვადასხვაობის მიუხედავად, ყველა მათგანი ერთმნიშვნელოვნად აცხადებდა, რომ საქართველოსათვის საარსებოდ მნიშვნელოვანია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობის გაგრძელება და საამისოდ საჭიროა განსაკუთრებული ძალისხმევა.

სწორედ მისიის მიერ გაკეთებულ დასკვნებზეა დამოკიდებული სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ახალი ფინანსური მხარდაჭერა და, რაც მთავარია, ოლაპარაკების გაგრძელება პარიზის კლუბთან.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

ПЕРВОЕ ИЗ ПЕРВОГО

სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ, კოლეგების მსგავსად, აღნიშნა, რომ ეკონომიკურ პროცესებში დადებითი ტენდენციები ნამდვილად შეიმჩნევა. როგორც მან თქვა, სამომავლოდ ამ ტენდენციების კიდევ უფრო გაძლიერებს „დიდი ნავთობსადენი“, რომლის აგების შემდეგაც განმკაცდება ენერგეტიკის სექტორი, გაიზრდება გვირთობრუნვა და სხვა.

სახელმწიფო მინისტრმა ყურადღება მიაპყრო აღმასრულებელი ხელისუფლების რეფორმირების დაჩქარებისა და სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაობის სტილის შეცვლის აუცილებლობას.

ამ თვალსაზრისით, მან, უპირველესად, აღნიშნა, რომ მართალია, ფინანსთა მინისტრმა ბევრი რამ უკვე გააკეთა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა ამ ორგანიზაციის მართვის სრულყოფილი სისტემა.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს პრეზიდენტმა, რომელმაც ყველას მოუწოდა, რათა ძალ-ღონე არ დაიშურონ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნების შესასრულებლად.

ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ სხვა საკითხებთან ერთად, ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ მოუგვარებელი რჩება კორუფციისა და აღურიცხავი საქონლის პრობლემები. მან დაუშვებლად მიიჩნია დავალიანების გაზრდა და მკაცრად მოსთხოვა შესაბამის უწყებებს, ამ საკითხის უმოკლეს ვადამი გადაწყვეტა.

საქართველოს პრეზიდენტის მოსაზრებით, უნდა მოწესრიგდეს საკანონმდებლო ბაზა, ეს კი დიდად არის დამოკიდებული ჩვენს პარლამენტარებზე, რომლებიც, ედუარდ შევარდნაძის თქმით, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად ქვეყნის ბედზე თანაბრად აგებენ პასუხს.

საქართველოს პრეზიდენტმა დადებითად შეაფასა საგანგებო ლეგიონის მიერ კონკრეტული წინაადმდეგ დაწყებული ბრძოლა და გამოთქვა რწმენა, რომ მათთვის უკეთესი სამუშაო პირობების შექმნის შემდეგ, ეს სტრუქტურა კიდევ მეტ წარმატებას მიაღწევს.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

ავტოტრანსპორტელები მხარს უჭერენ სახელმწიფოს აღმშენებლობის კურსს

ГЛАВНОЕ

ПЕРВОЕ ИЗ ПЕРВОГО

კავშირის საბჭო საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციასთან ერთად შეიმუშავებს წინადადებებსა და პროექტებს დარგში ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, რაც საბოლოო ანგარიშით ხელს შეუწყობს საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის სრულყოფას, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დანერგვას, საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებას. დებულებაში სახგასმულია, რომ კავშირი დაიცავს ამ დარგში დასაქმებულ მუშაკთა სოციალურ, პროფესიულ და ეკონომიკურ ინტერესებს და ხელს შეუწყობს ავტოსატრანსპორტო მომსახურების ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციარიანი გარემოს შექმნასა და ანტიმონოპოლიური პრინციპების დაცვას, უზრუნველყოფს ავტოტრანსპორტელთა აქტიურ ჩაბმას ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში, მათს წინაშე მდგარი პრობლემების შესწავლასა და გადაჭრას, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში დარგის ინტერესების გათვალისწინების უზრუნველყოფას, საქართველოს მსოფლიო სატრანსპორტო სისტემაში ინტეგრაციას, ეროვნული გადამზიდველების ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანში ფუნქციონირებას.

„ავტოტრანსპორტელთა დარბაზის“ დამფუძნებელ კონფერენციას ამ დარგში დასაქმებული საქართველოს სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. გამომსვლელებმა ილაპარაკეს იმ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე, რომლებიც სადღეისოდ ავტოტრანსპორტის მუშაკთა წინაშე დგას. პრობლემებს შორის ყველაზე საყურადღებოდ საგადასახადო სისტემაში მოქმედი მოუქნელი კანონები დასახელეს. დარგის პრიორიტეტად კი ჩვენს ქვეყანაში არსებული საგარანსპორტო პოლიგიკა აღიარეს, რომელიც ორიენტირებულია საერთაშორისო გადაზიდვებზე და ამ სფეროში მუშაკთა დასაქმების გარანტია.

კონფერენციაზე საზგასმით ითქვა, რომ კავშირს აქვს პოლიტიკური ინტერესებიც, რადგან დარგში 70 ათასამდე კაცია დასაქმებული და ამ მრავალრიცხოვანი არმიის ინტერესები უთუოდ გასათვალისწინებელია.

კონფერენციამ „ავტოტრანსპორტელთა დარბაზის“ თავმჯდომარედ ერთსულოვნად აირჩია გრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მოადგილე ბადრი დარჯანია და დაამტკიცა ამ კავშირის დებულება.

შეკრებილთ მიესალმა გრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი მერაბ ადეიშვილი, რომელმაც კავშირს თანადგომა აღუთქვა. მან საგზასმით აღნიშნა ის დიდი როლი, რომელიც ამ დარგს აკისრია ქვეყნის განვითარების საქმეში. „რეგიონებში გამართულმა შეკრებებმა და კონსულტაციებმა, წინ რომ უსწრებდნენ ამ კავშირის ჩამოყალიბებას, დაგვანახა ის დიდი პოტენციალი, რომელიც ავტოტრანსპორტის მუშაკთა სახით ჩვენს ქვეყანას აქვს. მივესალმები და მხარს ვუჭერ ახლად ჩამოყალიბებული კავშირის კეთილშობილურ მიზნებს“, – აღნიშნა მინისტრმა.

„ავტოტრანსპორტელთა დარბაზის“ დამფუძნებელ კონფერენციას მიესალმა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და შეკრებილთ სიტყვით მიმართა.

(საქართველოს პრეზიდენტის სიტყვას გამეთის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ).

საქინფორმი.

ТАНАМШРОМЛОБА

ქართველი მეცნიერები – ნატოსთან ინტეგრაციის პროცესში

ПЕРВОЕ ИЗ ПЕРВОГО

მისი თქმით, გაიმართება ნატოს ეგიდით განხორციელებული ყველაზე მნიშვნელოვანი და წარმატებული პროექტის „ვირტუალური აბრეშუმის გზის“ პრეზენტაცია. უპრეცედენტოა ის ფაქტიც, რომ ამ პროექტის ფარგლებში საქართველოსათვის გამოყოფილი თანამგზავრული სადგურები გამოყენებით მოეწყობა ვიდეოკონფერენცია ქვეყნის პრემიერ-ექიმთა და ჯანდაცვის მინისტრთა შორის.

* * *

ოქტომბრამდე ვალტერ კაფენბერგერმა 10 ივნისს რადიოკომპანია „იმედით“ გამოსვლის დროს ილაპარაკა ნატოს სამეცნიერო პროგრამებზე, რომლებიც საქართველოსთან ერთად დაბრუნდა. აღნიშნა, რომ მოეწყობა სემინარები ახალგაზრდა მეცნიერების მონაწილეობით, მათთვის გათვალისწინებული აქვთ სტიპენდიები.

დოქტორმა კაფენბერგერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა საქართველო ნატოს ნამდვილი თუ პოტენციური წევრი, ჩვენს ქვეყანაში ნატოს ეგიდით სხვადასხვა პროგრამა მაინც განხორციელდება.

საქინფორმი.

ДОКЛАДЫВАЕТ

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 7 ივნისი ქ. თბილისი

შალვა ქევხიშვილის ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი თავდადებისა და მაღალი საბრძოლო მომზადებისათვის, რეგიონში ვეტერანული მოძრაობის განვითარებასა და სამართალდაცვითი ღონისძიებების განხორციელებაში შეგანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, ნაყოფიერი ორგანიზაციული, საქველმოქმედო და სამოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის ტერიტორიული განყოფილების სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, პოლკოვნიკი შალვა ქევხიშვილი დაჯილდოდეს ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 7 ივნისი ქ. თბილისი

ოზურგეთის № 5 სამშუალო სკოლის პედაგოგთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

მოწყალე ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებასა და სასწავლო პროცესის სრულყოფაში შეგანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ ოზურგეთის № 5 სამუალო სკოლის პედაგოგები:

ლირსების ორდენით:

ეთერ აბაშიძე – ინგლისური ენის მასწავლებელი; **კვიროსი სიორიძე** – მაიორი, დაწყებითი სამხედრო მომზადების მასწავლებელი; **თინათინ შავიშვილი** – სკოლის დირექტორი.

ლირსების მედლით:

მერი გოგუაძე – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი; **მაია თავართქილაძე** – გეოგრაფიის მასწავლებელი; **ქეთევან ქადეიშვილი** – დაწყებითი კლასების მასწავლებელი.

ედუარდ შევარდნაძე.

ПАРЛАМЕНТИСТ

ნინო ბურჯანაძის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში

ამერიკის შეერთებულ შტატებში თავისი პირველი სამუშაო ვიზიტის პირველ დღეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე შესვდა შეერთებული შტატების საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებს, აგრეთვე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელობას.

პარლამენტის მომავალ არჩევნებზე გაამახვილა ყურადღება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ სენატორ ედუარდ კენედისთან გამართულ შეხვედრაზე. სენატორი კენედი დაინტერესდა აგრეთვე კახეთის ზღვის ენერგორესურსების საკითხით. ნინო ბურჯანაძემ მას გააცნო ამჟამად საქართველოში შექმნილი ვითარება და ის პერსპექტივები, რომლებიც დაესახა საქართველოს გვლით კახეთის ზღვის ენერგორესურსების ევროპისათვის ალტერნატიული გზით მიწოდებასთან დაკავშირებით.

სენატორ კენედისთან შეხვედრაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრის საკითხებში აუცილებელია შეერთებული შტატების როლის გაძლიერება. სენატორი კენედი პარლამენტის თავმჯდომარეს დაპირდა, რომ ამ საკითხს კოლეგების წინაშე დასვამს.

შეერთებული შტატების სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წარმომადგენელთან მაიკლ ჰალგელთან გამართულ შეხვედრაზე საუბარი ძირითადად საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხს შეეხო. მაიკლ ჰალგელმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს აღუთქვა, რომ შეერთებული შტატები რუსეთთან დიალოგს გაგრძელებს საქართველოსთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე.

საქინფორმი.

КАНОНМДЕБЛЕБИ

მხარი დაუჭირეს ყაზახეთში საქართველოს ელჩის კანდიდატურას

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ შეიად შუკანიანმა 10 ივნისს გამართულ სხდომაზე კომიტეტის წევრებს წარუდგინა ყაზახეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩის კანდიდატურა. კენჭისყრის შედეგად ელჩის დამტკიცებას მხარი დაუჭირა კომიტეტის ცამეტმა წევრმა.

ამიერიდან საქართველოს ყაზახეთის რესპუბლიკაში წარმოადგენს ნუგზარ დეკანოზი. იგი 1946 წელს დაიბადა თბილისში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტი. ორი წელიწადი ნუგზარ დეკანოზმა ექსპერტად იმუშავა საგარეო ვაჭრობის სამინისტროში, მოსკოვში. 1984-1988 წლებში მუშაობდა არგენტინაში საკავშირო სავაჭრო წარმომადგენლობაში. სხვადასხვა დროს მუშაობდა საკავშირო სავაჭრო-სამრეწველო პალატის უფროს ექსპერტად, სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ, საქართველოს საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტის ჯერ უფროსად, შემდეგ თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის მინისტრის მოადგილედ, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილედ. 2001 წლის ოქტომბრიდან დღემდე მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა კათედრის გამგედ.

კომიტეტის სხდომაზე იმსჯელეს, აგრეთვე, სარკეფიციკიო დოკუმენტებზე, რომლებიც წარადგინა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კახა სიხარულიძემ.

ამ დოკუმენტებს კომიტეტი პარლამენტის უახლოეს სესიაზე განსახილველად გიგიანს.

საქინფორმი.

МЕ ША ДАДАРТВЕЛОС ВАР МОЧАЛАДЕ

„დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ...“

ПЕРВОЕ ИЗ ПЕРВОГО

ისიც აღარ ვიცი, სად არის ჩემი ბუდე თუ ბუნაგი... ან რა ჰქვია იმ კუთხეს... ისიც არ ვიცი, რა ჰქვია ჩემს ნაქოხარს, რომ დავბრუნდე, ვერც კი ვიპოვი. მაინც რაც უნდა მოხდეს, მსურს დავბრუნდე და ჩემი უკანასკნელი მუდარაც, ერთადერთი ჯილდოც და ანდერძიც ეს არის: დამბრუნეთ... წამიყვანეთ... მაჩვენეთ... დასწერე, შვილო?“

აღარაფერი შემრჩა გარდა ოთხმოცდარვა წლის გვირთისაო, გოდებს ანდრო კიბეშარი.

მიხეილ ქაფთარაძესაც აღარაფერი შერჩა გარდა... ოთხმოცდათექვსმეტი წლის გვირთისა. სათვის, გულში კი ყველას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ფიქრი გვიმოძრავებდაო, – იხსენებს.

ომის დამთავრებამ იგალიაში მოუსწრო. იქ წელიწადნახევარი დაპყო და საფრანგეთში დაბრუნდა. მას შემდეგ სულ იქ ცხოვრობდა, მაგრამ საფრანგეთის მოქალაქეობის მიღებაზე არც უფიქრია, ლტოლვილის სტატუსით მუშაობდა ხან – აქ, ხან – იქ.

ძალიან დიდხანს პოლიგიკას თავს არიდებდა, თუმცა ეროვნულ-დემოკრატთა ორგანიზაციის წევრიც იყო და კრებებზეც დადიოდა. მაგრამ უკვე სიჭარმაგეში მაინც მოუხდა აქტიურ პოლიგიკაში ჩაბმა. დაახლოებით 65 წლის ასაკში შემთხვევით, ერთული ცხოვრება განვლო ბაგონმა მიხეილმა.

დაიბადა 1906 წლის 21 ნოემბერს სოფელ ძველ სენაკში. 1924 წელს დაამთავრა ფოთის გიმნაზია (მანამდე ერთხანს თბილისის პირველ გიმნაზიაში სწავლობდა).

1924 წლის ანგისაბჭოთა აჯანყების დამარცხებამ და ქართველ პაგრიოგთა განკუთხვამ ქლეგამ ღრმა კვალი დაგოგა ჭაბუკის სულში და გადაწყვეგინა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა თავი დაღწია ბოლშევიკური რეჟიმისთვის.

ამის შესაძლებლობა სამი წლის შემდეგ მიეცა. 1927 წლის მარგში 20 წლისამ მალულად გადალახა საზღვარი და თურქეთის გავლით საფრანგეთში ჩავიდა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე პარიზში მუშაობდა. გერმანელთა მიერ საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ კი, სასტიკი უმუშევრობის გამო, გერმანიაში გადაინაცვლა, ჯერ – პანოვერში, შემდეგ – ბერლინში.

საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებისთანავე მოხალისედ შეუდგა გერმანულ არმიაში. სამხედრო წერთნა რუმინეთში, პარიზიდან ჩამოსულ ქართველებთან ერთად, ასევე „თამარა მეორეში“ გაიარა. მომზადების შემდეგ ეს ასეული გერმანიაში (ბავარიაში) დაბარუნეს და კიეკასიელ „ბერგმანს“ შეუერთეს, მალე მენაერთი კავკასიის ფრონგზე გადმოისროლეს. „სხვისი“ ჯარის რიგებში ფორმალურად ვიბრძოდით, თითქოს იმ სხვისი ინგერესებისა ვთქვათ, მოვალეობის გამო, ჟურნალისგობას შეუდგა. მანამდე იშეიპოდა მონაწილეობდა ქართული ჟურნალების საქმიანობაში. ეს ასე მოხდა: ჟურნალ „ივერიის“ რედაქტორი ელისე პაგარიძე დაავიდდა და თანდათან ჟურნალის ხელმძღვანელობა ბაგონ მიხეილს მიენდო. ამ საქმეს დიდი მონდომებით უძღვებოდა, სანამ ძალა შესწევდა (მისი რედაქტორობით გამოიცა ჟურნალ „ივერიის“ მე-18-36-ე ნომრები 1977-1991 წლებში).

მართალია, პოლიგიკას ყოველთვის გაუბრუოდა და „ივერიის“ გაძღოლა მხოლოდ გარეშოვნათა გამო დაეკისრა, მაგრამ ადამიანური პაგიონსება მოითხოვდა, ჟურნალისთვის ის სგალი და მიმართულება მიეცა, რაც თვითონ მიაჩნდა საჭიროდ. ეს ანგისოციალისტურ პოზიციას ნიშნავდა. მემარჯვენე იყო და სოციალიზმს დაუფარავად ებრძოდა.

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. ხანში შეეიდა, მხედველობა დაკარგა... 96 წლის ასაკში მორს ვარ ყოველგვარი პოლიგიკისგან და ისევ დამრჩენია, ჩემი ცხოვრების მიწურული ავისრულო ნაგვარა, რომელიც მთელი სიცოცხლე მაწვალებდა – დავბრუნდე ჩემს სამშობლოსიო, – წერს.

წერილობით მიმართა საფრანგეთში ლგოლვეთან და უსამშობლოთა მფარველობის ოფისს (OFPRA), ლგოლვეთის სგატუსი მომიხსენითო და წლეულს 21 მარგიდან განთავისუფლდა კიდეც მისი მფარველობისგან.

ადგილობრივმა შესაბამისმა დაბეჭდა ლგოლვეთა ოფისის ოფიციალური ბიულეტენი, ანგლიურ-ფრანგული ენებზე, ეს ბიულეტენი ეგზავნებოდა ყველა ელჩობასა და ლგოლვეთა ორგანიზაციას. ეს ბიულეტენი ინგერნეტშიც ამოდის. ეს ბიულეტენი ინგერნეტში ამოდის ასეთ ფორმულირებით: „ბაგონმა ედუარდ შევარდნაძემ მეცხოვანი ქართველის აჯა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის შუამდგომლობა და 2003 წლის 5 ივნისის ბრძანებით იგი საქართველოს მოქალაქედ მიიღო.

იმავე ბრძანებულებით, ბაგონ მიხეილთან ერთად საქართველოს მოქალაქეები გახდნენ ჩრდილოეთ ოსეთის ქ. ორჯონიკიძეში 1963 წელს დაბადებული გიორგი არბაული და 1951 წელს თურქმენეთში, ამხანაგიდის რაიონის ქ. ნებით-დაგში დაბადებული ოთარ რამიშვილი, ორიოდ დღით ადრე, 2 ივნისს კი – ჩრდილოეთ ოსეთში 1963 წელს დაბადებული ლია კობიაშვილი, რომელიც სამშობლოში თავის არასრულწლოვან ქალიშვილთან ნანო არაბულთან ერთად დაბრუნდა.

ამ გაბაფხულზე საქართველოს მოქალაქეთა რიცხვს შეემატნენ ბაგაური გიორგი იასაბაში, აფრბაიჯანელი (დეპორტირებული მესხი) ნურხან იბრაგიმოვი (თოფიჩიშვილი), ქართველები (ინგილოები) გერა სამედოვი (მამულაშვილი), ოქტაი ალიბეგაშვილი, ინგა ფოლადაშვილი, კახა ბაჩალიაშვილი, უკრაინელი სვეტლანა კვანგალიანი, მოლდაველი გალინა კიორესკუ-ვარდიეკ, სომხები ამოტ და გაიანე პოღოსიანები, რუშანა არაქელოვა, აგრეთვე, თეიმურაზ ელიავა, ნელი ხაიკაშვილი, ლალი ქურხამიელი...

თვალნათლეგიან: დღითი დღე, სულ უფრო იმრდება საქართველოს მოქალაქეობის მიღების მსურველთა რიცხვი.

ემაგოს!

სანდრო ალეძსიძე.

ФРТОХИЛАД!

ვის დაკვეთას ასრულებს ოპოზიცია

ქალბატონ ქარლოს გუბერნატორი ლევან მამალაძე არჩევნების პერიოდში მოსალოდნელ დესტაბილიზაციაზე ლაპარაკობს, თუმცა მისი თქმით, ეს თემა წინა პლანზე პირველად ოპოზიციამ წამოსწია. კერძოდ, მან აღნიშნა:

– ვეანიას, სააკაშვილისა და გამყრელიძის თაოსნობით გერთიანებული ოპოზიცია რუსეთის დაკვეთას ასრულებს. მათ მიერ შექმნილი ჯგუფები იუგოსლავიაში იმ მიზნით ჩავიდნენ, რომ ესწავლათ, თუ როგორ დამალონ ქვეყანა. ამის საფუძველს მაძლევს ის, რომ გაერთიანებული დემოკრატების ლიდერი ზურაბ ჟვანია საქართველოში ფსიქოპოლიგიკური მართვის გეგმის თანაავგორია. გეგმის მიზანი კი ქვეყანაში დესტაბილიზაცია და ვითარების შემდგომი გართულებაა.

სწორედ ამას ვუკავშირებ კოდორის ხეობაში მომხდარ ამაწყნანადელ ინციდენტს, პანკისში ვითარების დაძაბვას და იმ მოსალოდნელ გართულებებს, რომლებიც შესაძლებელია ქვეყნის სხვადასხვა მხარეში არჩევნების წინ შეიქმნას. ამიგომ საჭიროდ მიმაჩნია, რომ ამ პერიოდში საქართველოში გაძლიერდეს ყველა სტრატეგიული ობიექტის დაცვა. ქვემო ქართლში ისეთი ობიექტები, როგორიცაა, ზალკის ფყალსაცავი, სადაც მილიონობით კუბური მეგრი წყალია, სრამი-1-ისა და სრამი-2-ის ჰიდროელექტროსადგურები, გარდაბნის თბოელექტროსადგური და საავიაციო სამოგადოება „აზოგი“ განსაკუთრებული დაცვის რეჟიმზე უნდა გადავიდეს. ასეთი განმრახვის განხორციელებისას – დესტაბილიზაციის შექმნის მედლობის შემთხვევაში, ჩვენი ქვეყნის დასაცავად, თითოეული მოქალაქის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ყველა ღონეს უნდა მივმართოთ.

სწორედ ამ თვალსაზრისით დავაყენეთ სტრატეგიული ობიექტების დაცვის საკითხი ერთვნული უმიმროების საბჭოს სხდომაზე.

საქინფორმი.

КОНФЕРЕНЦИЯ

აზერბაიჯანულ თემთა გაერთიანება „ახალი საქართველოსათვის“

10 ივნისს სასტუმრო „შერატონ-მეგეხი პალასში“ საქართველოს აზერბაიჯანულ თემთა გაერთიანების ცენტრს ჩაეყარა საფუძველი. აღსანიშნავია, რომ ეს არასამთავრობო ორგანიზაციაა ქვეყნის 14 რაიონში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს აერთიანებს, მათ შორის არიან სოფლის საკრებულოების დონეზე მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული პირები.

ქვემო ქართლის გუბერნატორი ლევან მამალაძე საქინფორმასთან საუბარში ამბობს, რომ ეს ხალხი იმიარებს ხელისუფლების კურსს და კიდეც ცდილობს თავისი წვლილი შეიგანოს ქვეყნის ტერიგორიული მთლიანობის აღდგენის, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარების საქმეში.

საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა იმირ მამედოვმა ამ კორესპონდენტს განუცხადა, რომ ცენტრის შექმნას იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგანაც ჩვენი თანამემამულე აზერბაიჯანელების მიზნები ადასგურებენ მათ სურვილს საქართველოს ხელისუფლების მხარდამხარ იღვაწონ ქვეყნის საკეთილდღეოდ. საერთოდ, საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები აქტიურად ჩაებნენ ქვეყნის პოლიგიკურ ცხოვრებაში. ამის დასტურია ის გაერთიანებები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ბოლო წლებში იქმნება. ამჯერადაც ამ ცენტრის შექმნა იმის დასტურია, რომ ეს ხალხი იმიარებს ხელისუფლების კურსს და ეგეგმა ცდილობს თავისი წვლილი შეიგანოს ქვეყნის ტერიგორიული მთლიანობის აღდგენის, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარების საქმეში.

**საქართველოს პრეზიდენტმა ეროვნულ-კულტურული ავტონომიების საკითხზე ერთ-ერთ ინტერვიუში ასეთი ფორმულირებით: „ეროვნულ-კულტურული ავტონომიები ... ეს ... ეს ... ეს

პრობლემა

საჭიროა მყარი და სრულყოფილი სადეპოზიტო დაზღვევის სისტემა

ბანკები და მეანაბრეები — რისკის ფაქტორის გარეშე

ცნობილია, რომ საბანკო საქმეში შესაძლო რისკის ფაქტორი ყოველთვის არსებობს, რომელიც თანაბრად ეხება როგორც ბანკის მიერ გაცემულ კრედიტებს, ისე მეანაბრეთა დეპოზიტებს. ცივილიზებულ ქვეყნებში შესაძლო რისკისგან დაცვის (დაზღვევის) სპეციალური სისტემებია შემუშავებული, რომელთა საჭიროება ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ დაადასტურა.

მსოფლიო პრაქტიკაში ბანკების გაკოტრების და მეანაბრეთა დაზარალების შრავალი შემთხვევაა ცნობილი. ასეთი ფაქტები, ძირითადად, საბანკო-ეკონომიკური კრიზისების, რევოლუციური გარდაქმნების, ახლადშექმნილ ქვეყნებში სახელმწიფოებრივი მშენებლობის თანამდევი პროცესებია.

ამ ფაქტორებით განპირობებული უმძიმესი ეტაპი და შესაბამისი მწარე გამოცდილება ქართულმა საზოგადოებამ, საბანკო სექტორთან ერთად, 90-იან წლებში უკვე გაიარა. მისი თავიდან აცილება შეუძლებელი იყო, მაგრამ ნაკლებ მტკივნეულად წარმართვა შეიძლებოდა. შედეგად, საბანკო სექტორი დისკრედიტებული აღმოჩნდა. წარსულში მომხდარი რეციდივების სინდრომი, გარკვეულწილად, დღესაც მოქმედებს. ალბათ, ბანკებისადმი ნდობის დაბალი სარისხი განპირობებს, რომ საქართველო, პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის, უფლადი რესურსების მობილიზაციის დონით ბოლო ადგილზეა.

ამჟამ მიუხედავად საბანკო სექტორი ამ პერიოდში მაინც საგრძნობლად განვითარდა.

სისტემაში კაპიტალის მოცულობამ დღეისათვის 316 მლნ ლარს მიაღწია, ვალდებულებებმა შეადგინა 801 მლნ ლარი, მათ შორის დეპოზიტებმა 609 მლნ ლარი. მიმდინარეობს კონსენგრაციის პროცესი. გამოიკვეთა სისტემამექმნელი 10 კომერციული ბანკი, რომლებშიც თავმოყრილია აქტივების 85 პროცენტი, ვალდებულებების – 92 პროცენტი და კაპიტალის – 69 პროცენტი.

ლიდერმა ბანკებმა თავიანთი საქმიანობით, აგტორიტეტითა და მბარდი კაპიტალით კრედიტორთა ნდობა დიამკეიდრეს. მათ შორისაა „საქართველოს ბანკი“, რომელიც ქვეყანაში არსებული არცთუ მყარი ეკონომიკური ვითარების ფონზე, სტაბილურად ვითარდებოდა. ბოლო 5 წლის განმავლობაში ბანკის აქტივები გაიბარდა 4-ჯერ და 200 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ვალდებულებები 4,5-ჯერ და 151 მლნ ლარს გადაჭარბა.

გაიბარდა, ასევე, ბანკის მთლიანი სადეპოზიტო ბაზა, რომელმაც დღეისათვის 110 მლნ ლარს მიაღწია. მეანაბრე კი ჩვენთვის უპირველესი კრედიტორია. მას გაფრთხილება და მაქსიმალური დაცვა საჭირდება.

საბანკო ინტერესები ყოველმხრივ უნდა იყოს დაცული ყოველგვარ ვითარებაში. ინიციატივა აქ თავად საბანკო სექტორმა უნდა გამოიჩინოს.

დეპოზიტების დაზღვევა სტაბილური საბანკო სისტემის საფუძველია

საბანკო ანაბრების დაზღვევა დღევანდელ მსოფლიოში თანამედროვე საბანკო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. მისი დეკლარირებული მისია, გრადიციულად, ეროვნული საფინანსო სისტემის სტაბილურობა და მისდამი ნდობის უმრუნველყოფა. საერთაშორისო საბანკო ფონდის მონაცემებით, მოსახლეობის დეპოზიტების დაზღვევის სისტემა მსოფლიოს 70 ქვეყანაშია დანერგილი. მათ შორისაა ყველა განვითარებული ქვეყანა, ევროპის ყველა წამყვანი სახელმწიფო (რუ-



ნიმნულ მეფასებას უგულებელყოფს.

თუმცა, გასათვალისწინებელია ცალკეული ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე და სხვა, რომლებიც ხელს უშლიან სისტემის დანერგვასა და ეფექტიან ფუნქციონირებას, ამასთან, ქმნიან წინააღმდეგობრივ ვითარებას ამ სისტემის თანამონაწილე სხვადასხვა ეკონომიკურ სუბიექტს შორის.

შევეცადოთ გავაანალიზოთ ალნიშნული ფაქტორების წარმოქმნის მიზეზები და შევაფასოთ სისტემის მნიშვნელობა მოგადად.

რა აფერხებს მეანაბრეთა აქტიურობას?

საბანკო დეპოზიტების დაზღვევა ქონებრივი დაზღვევის ფორმაა, რომლის საშუალებითაც მეანაბრეს ეძლევა დეპონირებული თანხების დაბრუნების გარანტია ბანკის გაკოტრების შემთხვევაში. საამისოდ იქმნება შესაბამისი ფონდები, ხოლო სისტემის ფუნქციონირებას კანონი არეგულირებს. ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები საქართველოში საბანკო რეფორმის გაგრძელებად და მის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილად უნდა განვიხილოთ.

ანაბრების დაზღვევის სისტემის დანერგვა განსაკუთრებით აქტუალურია საბაზრო ურთიერთობაზე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის, სადაც შედარებით მაღალია ეკონომიკური რისკის ფაქტორი. ცხადია, შესაძლო რისკი მეანაბრეთა აქტიურობას აფერხებს.

გასათვალისწინებელია, აგრეთვე, საზოგადოების განწყობა ბანკებისადმი და ზოგადი საბანკო კულტურა. საქართველოში, ისევე, როგორც მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში, მოქალაქეთა აბსოლუტურ უმრავლესობას არა აქვს ტრადიცია, ჩვეება და განსაკუთრებული მოთხოვნილება, ისარგებლონ ბანკების მომსახურებით. მაგალითად, გახსნან ანგარიში ბანკში, მოახდინონ დანაზოგთა დეპონირება და სხვა. შესაბამისად, ეს დანაზოგები ბანკში არ ხვდება, ე. ი. ჩვენთან ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა ცივილიზებული საბანკო კულტურა და აუცილებელი ინფრასტრუქტურა საბანკო სფეროში ეკონომიკური აქტიურობისთვის.

ასეთი კულტურის დამკვიდრებას, ეკონომიკურად მიმმდინარე და სოციალურად აქტუალურ საბანკო პროდუქტებთან ერთად, განვითარებული ინფრასტრუქტურა და ბანკებისადმი მაღალი ნდობის ფაქტორიც განაპირობებს. საამისოდ, საჭირო პირობების შექმნა არა მხოლოდ საბანკო ტექნოლოგიების, არამედ საბანკო მარკეტინგის სპეციალისტთა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ამოცანაცაა. ე. ი. გადამწყვეტი როლი აქ უმუალოდ ბანკებმა უნდა შეასრულონ.

იხ. მე-4 გვ.

პოზიცია

(პირველი გვერდიდან)

პოლიტიკოსთა ჭარბწარმოება და პოლიტიკური აზროვნების დეფიციტი

რახან ასეა, რა გამოლევს პოლიტიკაში ჩალიჩის მსურველთა რიცხვს, რა დალევს ავანგიურისტთა და პაგიმოყვარეობის სენით შეპყრობილთა პოლიტიკის კარიბჭესთან ჩამწკრივებულ რიგს. ის კი არავის აწუხებს, რომ ასეთ უბადრუკ სიტყვათა ფრქვევას პოლიტიკას ვერაფრით ვერ დაარქმევ და ეს, სხვათა შორის, კიდეც განაცხადეს ამას წინათ საქართველოში საქმიან ვიზიტად ჩამოსულმა და აქაური ვითარებით უკიდურესად განცვიფრებულმა ევროსაბჭოს წარმომადგენლებმა.

ან როგორ არ განცვიფრდებოდნენ, როცა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ხალხის (?) მიერ არჩეული დეპუტატების გუნდმა კანონშემოქმედების სრულიად გაუგონარი მეთოდი შესთავაზა გაოგნებულ თანამემამულეებს – ქუჩაში თავიანთი მხარდამჭერება გამოიყვანა და მათი პირით ულგიმაგუმი წარმოადგინეს, გინდათ თუ არა, ისეთი საარჩევნო კოდექსი მიიღეთ, ჩვენ რომ გვესიამოვნებაო.

მოდი ახლა და გაგიკვირდეს კაცს რაზე ამ ცისქვეშეთში!

ეს რომ ერთადერთი შემთხვევა იყოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მინაპოლიტიკურ სივრცეში, შეიძლება იმით დაგვემშვიდებინა თავი, რომ რაღაც გამონაკლისთან გვაქვს საქმე, მაგრამ ასეთი სამართლებრივი ნიჰილიზმი რომ ჭარბობს ჩვენთან, ამას რა ვუყოთ?

ვიდრე ახლანდელ სიგუაციას გავაანალიზებდეთ, ცოტა უკან დავიხიოთ დროში და გავიხსენოთ მოვლენები, რომელთა მოწმენიც ვიყავით 90-იანი წლების დამდეგს. მანამდე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმვლების პერიოდში დამოუკიდებლობის იდეა ყველასათვის სანუკვარ ოცნებად ითვლებოდა და ასეც აღიარებდა თითოეული ჩვენგანი. მესაბამისად თითქოს უნდა მოვრეოდით საკუთარ შეგნებაში ჩაკირულ ეგოცენტრიზმს და ამ დიადი მიზნისათვის დაგვემორჩილებინა ყველაფერი. რა თქმა უნდა, ეს ოპოზიციის არსებობას არ გამორიცხავდა და იგი კიდეც ხმაურობდა, თუმცა ძირითადად მაწინაც პრეზიდენტის პიროვნებას აკრიტიკებდნენ. საერთოდ კი, ასე იყო თუ ისე, პოლიტიკურ ოპოზიციას თითქოს საკუთარი სახე არ დაუკარგავს.

მაგრამ მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი რამ. თვით ხელისუფლების წიაღში იმავე ისეთი წინააღმდეგობა, რამაც, ფაქტობრივად, მიგვიყვანა შეიარაღებულ დაპირისპირებამდე. ყველაფრის მიზეი კი საბოლოო ანგარიშით ისევ დაუკმაყოფილებელი ამბიციები და პიროვნული დაუოკებელი წყურვილი იყო. ყოველ შემთხვევაში განხუთქლება სწორედ ამ მიზეზით მოხდა.

აქედან დასკვნის გამოგანა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს და ჩვენც თავს უფლებას მივცემთ ვთქვათ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ხელისუფლებაში მეგისმეგად ბევრი შემთხვევითი და სწორედ სინდისთან მწყარალად მყოფი ადამიანი მოხვედა.

სავალალო ისაა, რომ ყველაფერი ეს საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ მომავლისათვის იმივე შეცდომა არ დაგვეშვა და ქვეყნის მართვის ეგზომ პასუხსაგები საქმე ისევ ასეთი ხალხისათვის არ ჩაგვეგდო ხელში. ეს, სხვათა შორის, ჩვენი, ამომრჩევლების ბრალია. სხვანაირად ხელისუფლებაში ვერ მოხვდებოდნენ ისევ სინდისთან მწყარალად მყოფი და ვერაგი განზრახვით წინასწარ დამუხტული ხალხი. ამიგომაც გათამამდა თითქმის იდეგტური სცენა და ახალდელი ხელისუფლების წიაღშიც მოხდა განხეთქილება, მიზეზიც იგივე აღმოჩნდა – უსამეველო ამბიციები და ავადმყოფური ეგოცენტრიზმი. სწორედ ამიგომაა, რომ ახლა ჩვენთან მგვრგვინავი ეგრეთ წოდებული პოლიტიკური დისკუსია მთლიანად პიროვნული დაპირისპირების დონეზე მიმდინარეობს და ეს გასაგებიცაა, რადგან ოპოზიციის სწორედ პრეზიდენტის პოსტი სჭირდება, რომ უმტკივნეულოდ დალამქროს ძალაუფლების ოლიმპი, ყველა იქით მიმავალი გზა თუ ბილიკი.

საინტერესო ისაა, რომ ზურაბ ჟვანია და მისი გუნდი ხელისუფლებაში ყოფნის დროს სრულიად უსუსური აღმოჩნდნენ. უფრო მეტიც, სწორედ მათი აღზევების პერიოდს დაემთხვა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სერიოზული შეფერხება. კაცმა რომ თქვას, სხვანაირად არც მოხდებოდა, რადგანაც მათ თავიანთი გარემოდან საზოგადოებას სხვადასხვა ფრიად პასუხსაგებ თანამდებობებზე შესთავაზეს სრულიად არაკომპეტენტური და თანაც უპასუხისმგებლო პიროვნებები. რა თქმა უნდა, იყო გამონაკლისებიც, მაგრამ რაგორმეაც ასეთ შემთხვევებში „რეფორმატორების“ რჩეულები თავიანთი გუნდს ყოველთვის გადაუდგნენ და ამით მათი კბილთა ღრჭენა და გაცოფებამდე მისული გამძვინვარება გამოიწვიეს.

ისე კი ამ მზაკვრული გეგმის შემმუშავებელ ახალგაზრდებს ძალიან დიდი მადა აღმოაჩნდათ – ხელისუფლების ყველა მგოს დაპაგრონება მოინდომეს და ამისათვის დიდადაც დაშვრნენ. ძალიან კი ფუსფუსუბდნენ, ღმერთმანი. რად ღირდა მარგო სააკაშვილის მიერ გახნორციელებული რეფორმა, როცა მოსამართლეების მომზადებას რაღაც „კერძო“ სკოლაში და სხვა ღონისძიებებს მილიონობით დოლარი მოხმარდა. სინამდვილეში ბოროგი ენები ამტკიცებდნენ, რომ მაშინ ჩვენმა მიხეილმა და მისმა ამფსონებმა დიდი ფული მოგტეხეს. ისე, კაცმა რომ თქვას, არცაა ეს დაუჯერებელი, თუ მხედველობაში მიეიღებთ იმას, რომ ეს ჩვენი დროის ელადიმერ ილიჩი თითქმის ყოველ მაბათ-კვირას ევროპაში დარბის. ჩვენ კი აქ მეგრომი მგზავრობისათვის ხშირად აბაბის შოვნა გვიჭირს.

ყველაზე ენერგიულად ძალოვანი მინისტრების პოსტებს მეუბიეს. ალბათ, იმიგომ, რომ რევოლუციის სახელმძღვანელოში ამოიკითხეს: ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად პირველ რიგში საჭიროა აკონტროლებდე ძალოვან სამინისტროებს, ე.ი. შეიარაღებულ ძალებს, პოლიციას, უშიშროების სამსახურს და პროკურატურას. სწორედ ეს იყო იმის მიზეი, რომ მათ ასე მოულოდნელად დაეუფლათ რაღაც ზღვარდაუდებელი სიძულვილი მინაგან საქმეთა მინისტრის კახა თარგამაძის მიმართ. ჩვენ კი მიამიგურად გვეგონა, რომ სამართალმცველთა საქმიანობის გაუმჯობესებისათვის ბრუნავდნენ.

არადა, იყო დრო, როცა კახა თანამბამბა“ ითრევეს, მოუწოდებს არსებული ხელისუფლების დამხობისათვის, რაც, რასაკვირველია, საბელისწერო გახდება ჩვენი სახელმწიფოებრიობისათვის. ახლანდელი ხელისუფლების გაკეთებული არაფერი გვინდა, ყველაფერს ჩვენ გავაკეთებთო, ომახიანად გაიძახიან და ამით კიდევ ერთხელ უსვამენ ხაბს საკუთარ უმეცრებას, რამეთუ მარგო უმეცარს მიაჩნია ადვილი ნებისმიერი საქმის ქმნა, რომელიც სხვის ხელებით გაკეთებული თუ უნახავს მხოლოდ.

იციან, რომ არაფრის გამკეთებლები არიან, მაგრამ ეს სულაც არ აწუხებთ – მთავარი ხომ ხელში ძალაუფლების ჩაგდებაა და არა რამიეს კეთება, თორემ ასეთი სურვილი რომ ჰქონოდათ, ხომ მოიმოქმედდნენ რამეს ხელისუფლების ოლიმპზე ყოფნის დროს, მაგრამ, როგორც ცნობილია, ასეთი რამ არ მომხდარა, პირიქით კი იყო.

ესენი კი უსირცხვილოდ გაიძახიან, მაშინ რაც იყო, დაივიწყეთ, საქმეს ხელახლა შეეუდგეთ, ნდობა გამოგვიცხადეთ და მეორე ცდაზე აუცილებლად რაიმეს მოვიმოქმედებთო.

საქართველო საექსპერიმენტო პოლიგონი როდია და ასეთ რისკზე წასვლა, ალბათ, ფრიად სამიმი იქნება...

მოგჯერ კაცს განცვიფრება გიპყრობს, როცა მოგიერთი ჩვენ პოლიტიკოსს უსმენ. მეგისმეგად დაბალია მათი როგორც ინტელექტუალური, ისე პროფესიული დონე. ნუთუ ასე გაფლარიდით და მართლა აღარ გვყავს ხალხი, ვისაც ხელეწიფება აიღოს თავის თავზე ქვეყნის წინაშე მდგარი მართლაც უაღრესად რთული პრობლემების გადაწყვეტა?

საქმე ისაა, რომ როგორც მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, ისე საქართველოში ჯერ-ჯერობით ინტელექტუალური ელიტა არ აყალენს სურვილს აქტიურად ჩაეპას პოლიტიკურ ცხოვრებაში და ამიგომ სარბიელი ძირითადად დასაკუთრებული აქვთ ფსევდოიდეებით აღჭურვილ სუბიექტებს, რომელთა ჭეშმარიტი მრახვები ძალიან მორსაა ხალხის ინტერესებისაგან. ამის მიზეზი კი ძირითადად ამ სივრცეში გამეფებული მნეობრივი ნიჰილიზმი და კრიმინალური იდეოლოგიის, ფილოსოფიის დამკვიდრება არის.

ასეთ დაბინძურებულ გარემოში კი ინტელექტუალური ელიტისათვის ადგილი აღარ რჩება. ამიგომ იგი ჯერ-ჯერობით კმაყოფილდება მდგომარეობის სალონურ დონეზე ანალიზით და მხოლოდ იშვიათად თუ გამოთქვამს ხმამაღლა თავის აზრს ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებით.

არადა, უკვე დადგა დრო, როცა პოლიტიკური ცხოვრება უნდა გადავიდეს თავის ბუნებრივ თვისებრიობაში, როცა ნებისმიერი აზრის გამოთქმა არაა გაბმავებული თითქმის უეცნაურო გინებით ოპონენტების მიმართ და ერთი სიტყვასაც არავინ გვეუბნება ამ ვითარებიდან გამოსვლის გზებზე. ასეთი პოლიტიკოსისათვის უფლებამოსილების მიცემა დანამაულია და ჩვენ ეს აღარ უნდა დავუშვათ.

გიორგი მაისურაძე,
საქინფორმის კორ.

„პუსტრინიდან კოვენტ გარდენში“

ქართველი მოცეკვავე დავით მახათელი ლონდონის კოვენტ გარდენის თეატრის სცენაზე სპექტაკლში „რომეო და ჯულიეტა“ მთავარ პარტიას შეასრულებს.

წლების განმავლობაში დავით მახათელი პუსტრონის საბალეტო დასის სოლისტი გახლდათ. მისი მოღვაწეობა ამერიკაში ძალზე ნაყოფიერი აღმოჩნდა.

28 წლის მოცეკვავემ ლონდონის კოვენტ გარდენის თეატრთან გაბოფორმა კონტრაქტი. იგი დასში წამყვან სოლისტად არის მიწვეული.

13 ივნისს დავით მახათელი ლონდონელი მაყურებლის წინაშე უნდა წარსდგეს. მას პარტნიორობს გაუწევს მიიაკო იოშიდა. სპექტაკლის „რომეო და ჯულიეტა“ ქორეოგრაფია კენეტ მაკ-მილანს ეკუთვნის.

ახალგაბრდა ხელოვანს ამერიკელი თაყვანისმცემლების შემდეგ ევროპელების მოხიბვლა მოუწევს.

ომმსახურების ახალი სახეობა

„საქართველოს სახალხო ბანკმა“, რომელიც ორი წელია მეანაბრე პენსიონერებს საკუთარი რესურსებით უმრწველყოფს პენსიით, 10 ივნისს სასტუმრო „თბილისი-მარიოტში“ გამართა პრესკონფერენცია ომმსახურების ახალ სერვისთან, კერძოდ, პენსიების გარანტიით სამომხმარებლო სესხების გაცემასთან დაკავშირებით.

სადღესასწაულო „სახალხო ბანკის“ 115 ათასი მეანაბრიდან 60 ათასი სამომხმარებლო სესხით მისაღები საპენსიო თანსების უმრწველყოფით სარგებლობს, რისთვისაც დასახლებით ორი მილიონი ლარია გაცემული.

„სახალხო ბანკში“ მიიღეს გადაწყვეტილება პენსიონერთათვის უპროცენტო სესხების გაცემის შესახებ, დადგინდა მხოლოდ ომმსახურების ფიქსირებული თანხა – ერთი ლარი. კრედიტის დაფარვის ვადა ოთხი-ხუთი თვეა.

გადაწყვეტილება „საპროსენერგოს“ სასარგებლოდ მიიღეს

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, როგორც ბოლო სასამართლო ინსტანციამ, დაკმაყოფილა საქმეი სამოგადოება „საქროსენერგოს“ სარჩელი სამოთუმო ენერგობაზრის წინააღმდეგ. ამრიგად, საქართველოს სამოთუმო ენერგობაზარი ვალდებულია თავისი არსებობის მომენტიდან (1999 წლის ივლისიდან) „საქროსენერგოს“ გადაუხადოს 22 მილიონი ლარი ვალი თავისი საკრედიტორო დაკალიანების 35 მილიონი ლარიდან.

რუსეთის ჩეჩენი ტერროისტების ბედი აწუხებს

საქართველოში ჩამოსულმა რუსეთის ფედერაციის საუწყებათაშორისო დელეგაციის ხელმძღვანელმა, საგანგებო სიტუაციათა მინისტრის მოადგილემ ოლეგ ბრატნიკოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დელეგაციაა გამართავს შესვედრას ჩეჩენ ლტოლვილებთან მათთვის ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენის მიზნით. განხილავენ, ასევე, ჩეჩენი ლტოლვილების რუსეთში დაბრუნების საკითხსაც.

საქართველოს მინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით თოდუამ აღნიშნა, რომ ქართული მხარე მზად არის ყოველი ღონე იხმაროს დევნილთა რუსეთში დაბრუნებისათვის. თუმცა, ჩეჩენი ლტოლვილების რუსეთში დაბრუნების საკითხი მხოლოდ ჩეჩნების გადასაწყვეტია. ჩვენ მზად ვართ წაეიდეთ ყველგან, რუსეთის გარდა, – აცსაჯეს კავკასიის და ჩეჩენ ხალხთა ურთიერთობის კომიტეტის ერთ-ერთი ლიდერი მექა ხანგოშვილი.

ინფორმაციები მოგვანოდა საქინფორმმა.

წინ არჩევნებია

«ქართულ პოლიტიკაში ძალიან დიდი თეული ტრიალებს»

სახელისუფლეო ფრაქციებს ამიდი აქვთ, რომ ოპოზიცია ბოიკოტგზე ვარს იტყვის და პარლამენტში დაბრუნდება. ამის პარალელურად საარჩევნო კოდექსის თაობაზე შეხვედრები გაგრძელდება და გამოიძებნება კომპრომისი, რაც საბოლოოდ, საარჩევნო კანონის მიღებას შესაძლებელს გახდის. ამ და სხვა საკითხებზე ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სოციალისტური პარტიის წევრი ბაძარა ჟვანია.

– ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით ოპოზიციასთან შეთანხმებას მიაღწიოს. არ თაკილობს და მოლაპარაკებებე საკრებულოს ხელმძღვანელის კაბინეტში მიდის, მიდის პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტშიც. ერთი სიტყვით, სადაც ეძახიან, ყველგან მიდის. ჩვენ ოპოზიციას ხუთი თუ ექვსი ვარიანტი შევთავაზეთ. ჯერ-ჯერობით ისინი ყველა ამ ვარიანტს უარყოფენ. ვარიანტების სულისკვეთება დაახლოებით ასეთია: მათ კომისიაში ორი, სამი, ოთხი წევრით მეტი ეყოლებათ. ეს იქნება საქართველოს ისტორიაში პირველი შემთხვევა, როცა საარჩევნო კომისიებში ბალანსი ოპოზიციური ძალების სასარგებლოდ იქმნება. ხელისუფლება თანამშრომლობის ამ გზაზე მიდის. ანუ, ვცდილობთ, წინა უმრავლესობის შეცდომები არ გავიმეოროთ, როცა კანონებისა და საარჩევნო კანონმდებლობის ბედი ხელის გადაგრეხით წყდებოდა. გვინდა, რომ შეთანხმებას მაქსიმალურად მივაღწიოთ. ვეუბნებით, თუ არ მოგწონთ ჩვენი 5-6 ვარიანტი, თქვენი ვარიანტი შემოგვთავაზეთო. პარლამენტის ბოლო სესია 17 ივნისს გაიმართება. ან დაველოდებით მათ შემოთავაზებულ ვარიანტს, ან კენჭისყრა გადაწყვეტს, – რომელი ვარიანტი დარჩს. არ შეიძლება ეს პროცესი დაესრულებლად გაგრძელდეს. ერთი სიტყვით, თემატური უმრავლესობა საკითხის განსახილველად მზად არის. ამასთან, დავძენ: ამ საკითხის გადაჭრა ხელის გადაგრეხით ან კენჭისყრით რომ გვდომოდა, ამის საშუალება გვქონდა. წინა კვირას პარლამენტის სხდომებში 120-122 კაცი მონაწილეობდა. შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღებაც შეიძლებოდა.

– ბატონო ბაქარია, ცნობილია, რომ ხელისუფლების გეგმის მიხედვით, საარჩევნო კომისიებში შეიადგენენ ძალების წარმომადგენლად უმნიშვნელო სიბეჭის დეკუგატები უნდა ჰყავდეთ. ამ ვარიანტს თავად შეიადგენენ ძალები ეწინააღმდეგებიან და მოითხოვენ, რომ საარჩევნო კომისიებში თვითონ ეს ძალები ჩართონ...

– ეს ძალიან სადავო საკითხია. მე ვთხოვე მვიადისტურ ძალებს, დაესახელებინათ კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც ესა თუ ის ძალა შეიძლებოდა მვიადისტების მხარდამჭერ ძალად წოდებულიყო. ამის გარკვევა ძალიან რთული გამოდგა, თუმცა მათ რამდენიმე მოდელი შემოგვთავაზეს. ეს მოდელები იხილებოდა. ეიმეორე, ჩვენ მზად ვართ ყველა ფორმულაზე, შემადგენლობის ყველა წესზე ვიმსჯელოთ. ამასთან, იმასაც დავსძენ, რომ ამ პროცესს გაუთავებელ და დასრულებელ ხასიათის ვერ მივცემთ. პარლამენტის 17 ივნისის სხდომამ ეს საკითხი ან ასე, ან ისე უნდა გადაწყვიტოს.

– როგორც ვნახეთ, ქუთის დეპარტამენტი ოპოზიციისთვის წარმოგებული ვერ გამოდგა, მან ვერ შეძლო მოსახლეობის დიდი ნაწილის გარეთ გამოყვანა. ოპოზიციამ ამის შემდეგ სხვა გაკეთება აირჩია, რეგიონებში ამოფარეხა და ინტელიგენციის წარმომადგენლობა შეკრიბა. როგორ ფიქრობთ, ოპოზიციის დესტაბილიზაციის მეფლობაში ინტელიგენციას ხომ არ ჩაეთრევა?

– ამ პროცესებში ინტელიგენციის მართვის მეფლობა იქნება. როცა ჩვენ ვიყავით ოპოზიციაში, ინტელიგენციის ძალიან ბევრი წარმომადგენელი მხარს გვიჭერდა და ჩვენთან იყო. ამაში გასაკვირი არაფერია. ამის უფლება მათ აქვთ. მე უფრო სხვა რამ მამინებს. ყველაზე ძალიან მეშინია სტუდენტი ახალგაზრდობის და რელიგიური თემების პოლიტიზმება არ მოხდეს. ქვეყნისთვის ცუდი და სამაში ის არის, რომ განთალების სფეროში – სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდების პოლიტიზების მცდელობაა, არჩევნების წინა პერიოდში რელიგიური თემების გამოყენება ხდება. მე ამის უფრო მეშინია, ვიდრე ინტელიგენციის, რომელიც ბრდასრულ ფენას წარმოადგენს და თამამად, შეგვიძლია გარეშე მეუძლია არჩევანის გაკეთება.

– ბატონო ბაქარია, ექსპერტთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ახალი პარლამენტი თავისი ყველა მანკიერებლით წინანდელ უარესი იქნება. მართი თქმით, ნებისმიერი კანონპროექტი, რომელიც 2 ნოემბრის შემდეგ პარლამენტი შეეკა, სასტრმიდენტო არჩევნებისთვის იქნება გათვლილი, უარყოფითი შუქგით პოლიტიკებულია პარლამენტი ერთ დიდ წინასაარჩევნო კერად გადაიქცევა და ქვეყანას 10 წლით მაინე უკან დააენევს. ეერაფერი პერსპექტივაა. თქვენ როგორ ფიქრობთ?

– ახეთ პროგნოზს ვერ გავიზიარებ. ჩემი აზრით, მომავალი პარლამენტი უკეთესი იქნება. ვთვლი, რომ ქართველი ამომრჩევლის მოთხოვნები ბევრად გაბრდილია. დღეს ამომრჩეველი ისე ადვილად აღარ მოგყვება, როგორც ადრე ტყუვდებოდა. დარწმუნებული ვარ, ჩვენ იმ საკანონმდებლო სივრცეს შეექმნით, რაც მხარდაჭერის მოსაპოვებლად მოსყიდვას, ანუ ანგარებით მოგიეს, მაქსიმალურად შემდუდგეს.

დღეს ქართულ პოლიტიკაში ძალიან დიდი ფულია შემოსული. ეს ფული, როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მხარდამჭერ ძალებში გრეალეს. ამიგომაც ანგარებითი მოგიეს, მოსყიდვის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენი მხრიდან ძალიან მკაცრი და დაუნდობელი იქნება. მეევედებით საზოგადოება დავარწმუნოთ იმაში, რომ მხარდაჭერა მაგერიალური სიკეთის წინასაარჩევნოდ დარიგების და გაცემის გზით კი არა, პაგიოსნად უნდა მოიპოვო. ასე რომ, არჩევნები მართლაც დაბაბული და უკომპრომისო იქნება, მაგრამ, ვფიქრობთ, ბევრად სამართლიანი, ვიდრე აქამდე ჩაგარებულა.

ესაუბრა
მზია ბელენავა.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 151, ოთხშაბათი, 11 ივნისი, 2003 წელი.

რუსთაველის პრემიის ახალი ლაურეატები

ცხოვრება უიმშიათესი ჯაცისა

საქართველო განებივრებულია კარგი მსახიობებით, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე მრავალფეროვანი და დაუეჭრელელი შემოქმედებითი ძალებით ცხოვრებას ყველა ვერ ახერხებს. ეს ერთიულთა ხვედრია და მათ შორისაა კოტე მახარაძე. ის იყო არგანი თავისა ცხოვრების სტადიუმ, ამროენებით, მოქმედებით. წიგნის სიყვარულმა გახადა კოტე მახარაძე განათლებული, გონებამახვილი და ეს ბავშვობიდან მოდიოდა. მას ერთნაირად იგებდა სცენა და სპორტი. იგი შეიყვარეს როგორც უამრავი როლის, მსგავსული სახეების შემქმნელი მსახიობი და როგორც უბადლო კომენტატორი. ხელოვნებისა და სპორტის ურთულეს დაბაბულ ცხოვრებას რამდენიმე წიგნი მიუძღვნა და შესაშური მხატვრული, ლიტერატურული ენითა და ემოციებით გაგვაცნო ამ ორი სფეროს მისია.

კოტე მახარაძის მრავალმხრივი ტალანტი, ერუდიცია, მეგყველების კულტურა იყო საჭირო, რათა შექმნილიყო „ერთი მსახიობის თეატრი“. ეს იყო სრულიად განსხვავებული ესთეტიკის თეატრი, რომელმაც თავისი გამორჩეული ადგილი უკვე კარგა ხანია დაიმკვიდრა. და აი, ამ თეატრში დადგმული სპექტაკლებისათვის კოტე მახარაძეს რუსთაველის პრემია მიენიჭა.

ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო“ მე-17 წელია, რაც არსებობს. თავდაპირველად იგი გაიხსნა დარეჯანის სასახლის ახლოს, პატარა ეკლესიაში „საჩინო“, მერე კი ბინა დადო ვერიკო ანჯაფარიძის და მისეულ ჭიაურელის სახლ-მუზეუმში. მე მქონდა ბედნიერება დავსწრებოდი თეატრის პირველ პრემიერას. ეს „ილია“ იყო. ეკლესიის ხალხითაა გაჭედილი, ბევრი მაყურებელი ფეხზე დგას. ყოველ საგალობელი. გამოდის კოტე მახარაძე მაყურებლის წინაშე და იწყებს სამსაათიან თხრობას. რა საინტერესო უნდა იყოს თხრობა, რომ სამი საათი სულგანაბული უსმენდე და წუთითაც არ მოგწყინდეს. ეს კოტე მახარაძის პროფესიონალიზმის უმაღლესი საფეხურია. მის ხმაში ტემპერამენტი, რომელიც არ გადადის ეგზალტაციაში, განგაცდევინებს თხრობის სილამაზეს და დრამატიზმს. ეს არის დაუვიწყარი. იმ დღეს ილია ჭავჭავაძეს კი-დევ ერთი დიდებული ძეგლი დაუდგა კოტე მახარაძემ.

შემდეგ ამ თეატრში მან დადგა „გამოიღვიძე, ქნარო“, „აკაკი“, „ბაგრატიონები“. მისი ბოლო სპექტაკლი იყო „სგალინი“. მასზე ძალიან ბევრი იმუშავა არქივებში. სპექტაკლს ელოდებოდა მაყურებელი და მასაც ისეთივე წარმატება ხვდა წილად, როგორც წინა დადგმებს. რამდენიმე სპექტაკლი ავგორებთან ერთად მოამზადა. ესენი იყვნენ აკაკი ბაქრაძე, ჯემალ ახიადეიელი, ლევან სანიკიძე. „გამოიღვიძე, ქნარო“ ჯემალ ახიადეიელმა კოტე მახარაძის შეკვეთით დაწერა. ხოლო იდეა ქართველ-ებრაელ ხალხთა ისტორიული ურთიერთობის ასახვისა, ეკუთვნოდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს.

ჯემალ ახიადეიელი იგონებს:

— ბატონი კოტე ფიქრობდა, რომ „გამოიღვიძე, ქნაროს“ პრემიერა ისრაელში შემდგარიყო. მართალია, რკინის ფარდა მოხსნეს, მაგრამ ისრაელში წასვლა მაინც არ იყო ადვილი. სწორედ მაშინ აქ ჩამოვიდა ისრაელის ქნესეთის წევრი ეფრაიმ გური, ქართველი ებრაელი. მას მოეწონა ეს იდეა და გადაწყვიტა თვითონ მიეწვია ქართველ კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია ისრაელში.

ამ ნაწარმოების თავიდან ერქვა „სიყვარული გზად და ხიდად“ და, სხვათა შორის, ეს სახელი დარქვეს ისრაელის ქართველმა ებრაელებმა. ჩავედით ისრაელში, დეკემბერი იყო, ნახუქის დღეს დაეშთხვა ჩვენი ჩასვლა. ეს არის ებრაული დღესასწაული. აეროპორტში ტელევიზია, ჟურნალისტები, ეფრაიმ გური დაგვხვდა.

შემდეგ შეხვედრები გვქონდა ისრაელის ყველა ქალაქში, თეატრებში, კლუბებში... უამრავი ხალხი ესწრებოდა. ყოველი შეხვედრის დროს ბატონი კოტე სხვადასხვა ნაწყვეტებს თამამობდა სპექტაკლიდან. ნაბიჯ-ნაბიჯ ვუახლოვდებოდით პრემიერის დღეს. თელ-ავივში ჩვენი თეატრის ესთეტიკას როგორი დარბაზიც მიესადაგებოდა, ისეთი მინით გადახურული დარბაზი შეარჩიეს. ბატონ კოტეს შეუკერეს ბიბლიური მოსეს მსგავსი სამოსელი, რომელმიც ქადაგს ჰგავდა. პრემიერის საღამოს ისრაელის რჩეული საზოგადოება შეიკრიბა, სხვა ქალაქებიდანაც ჩამოვიდნენ. კოტე რადაც ძალიან ნერვიულობს, დიდი პასუხისმგებლობა აძევს. დაიწყო სპექტაკლი, ხალხი სულგანაბულია. ალბათ, ერთი საათის შემდეგ, უჩვეულო, საოცარი რამ ხდება. წამოვიდა წვიმა, რადაც გამაოგნებელი შესმა. არ იცის ისრაელში ასეთი წვიმები. თეატრალური დარბაზი ამისთვის არ იყო გამიშნული. ხმაურია ისეთი, სპექტაკლის გაგრძელება შეუძლებელია. კოტე გაჩერდა. სიჩუმეა ერთი წუთით დარბაზში. მერე, სადღაც, გაში გაისმა, აბაყვა მაყურებელი ამ გაში და სანამ წვიმა მოდიოდა, იყო გაში გრიალი. ასეთი თეატრალური თანადგომა მაყურებლისა მსახიობის მიმართ, მე არ მახსოვს. ეს გრძელდებოდა დაახლოებით ათ წუთს. მერე წვიმამ იკლო და სპექტაკლი გაგრძელდა. დამთავრების შემდეგ იყო გამაოგნებელი ოვაცია. სპექტაკლი გადაიღეს ვიდეოზე და მეორე დღესვე, ელვის უსწრაფესად გავრცელდა კასეტები მთელ ისრაელში. მამინ 60 ათასამდე ქართველი ებრაელი ცხოვრობდა ისრაელში და ყველა დიდი სითბითა და სიყვარულით ხვდებოდა კოტეს. ყველა ცნობდა. ამ სპექტაკლთან დაკავშირებით მინდა ერთი მომენტი გავიხსენო.

კოტეს მოუხდა შეხვედრა რუს ებრაელებთან, რომელთაც სთხოვეს მას, რომ სპექტაკლი ეთამაშა. ჯერ ერთი, ის, რომ სპექტაკლი ქართულადაა, მეორე, იქ არის ეთნოზოდები, სადაც ბიბლიაა, თალმუდი, ძველი ქართული წყაროები და ენობრივად არის პოლიფონიური. თუ შეიძლება ასე ითქვას. კოტემ არც აცია, არც აცხელა და პირდაპირ რუსულად ითამაშა. ოვაციები რომ დამთავრდა, კოტე მოდის და მეუბნება, — ბიჭო, სპექტაკელი რუსულად ვითამაშე!.. მე რეაგირებას არ ვახდენ. ერთი-ორი წუთის შემდეგ ისევ იმეორებს, ხმას არ ვიღებ. გაიარ-გამოიარა და მესამედაც რომ გამმეორა, ვეუბნები, კოტე ბატონო, ეგ კი არა, ის არ გამიკვირდებოდა, პირდაპირ ივრითზე რომ გეთამაშა. მართალა არ გამიკვირდებოდა, იმდენად ფენომენალური ნიჭის პატრონი იყო.

სპექტაკლის საქართველოში პრემიერისთვის კოტეს სხვა სახელი უნდოდა და მე ვიფიქრე, რომ ყოფილიყო „გამოიღვიძე, ქნარო“. ერთ-ერთ ფსალმუნში არის ნათქვამი — „გამოიღვიძე, ქნარო, გამოადვიძე ცისკარს“. სიმბოლიკა ფსალმუნდან მოდის, მაგრამ არის ისტორიული ფაქტიც. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 586 წელს, ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა მოაორსა იერუსალიმი, დაატყვევა მისი მკვიდრნი და ბაბილონში გაუყვანდა წასახა. როცა ბაბილონს უახლოვდებოდნენ, დამპყრობელმა მოსთხოვა დატყვევებულ იერუსალიმის მკვიდრთ, — ამაღამ იგალობეთ ის საგალობელი, რომლებსაც თქვენ გაძრებში გალობდით. ეს რომ გიგიეს ლევიგელებმა (გაძრების მსახურებმა) ერთმანეთს შეძრწუნებულებმა გადახედეს და თითები გადაიმტვრიეს, რომ ქნარებზე არ დაეკრათ. ძეწნის ტოტებზე ჩამოკიდეს ქნარები. სიმბოლიკა რა არის? საქართველოში 1988 წელს დაადგა ეს სპექტაკლი და ამ დროიდან იწყება ეროვნული გამოღვიძებაც: ტყვეობაში დადუმებული ქნარის სიმბოლიკა ისევე ახლოსაა ქართულ ცნობიერებასთან, როგორც ბიბლიურთან, ამიტომაც ეს სათაური აირჩია კოტემ, რადგან ესადაგებოდა საქართველოს სინამდვილეს. კოტე მახარაძემ ისრაელში არა მარტო თეატრალური ზეიმი მოაწყო, დიდი კულტურული მისიაც შეასრულა. ამას პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა იმ წლებში.

პოტე მახარაძე მუშაობდა ახალ სპექტაკლზე „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულსა“. იგი ეძღვნებოდა იმ ქართველებს, რომლებიც საქართველოს მიწას არ მიებარნენ, იმიტომ, რომ არ უნდოდათ. ბევრი საინტერესო მასალა დაგროვდა, მაგრამ სამწუხაროდ, ბატონი კოტეს შეხვედრა მაყურებელთან აღარ მედგა.

ქალბატონმა **სოფიკო ჩიაურელმა გვითხრა:** — ვთქვი, რომ ეს ყველაზე ღირსეული პრემიაა საქართველოში და რა გულსატკენია, რომ თვითონ ვერ მოესწრო ამას. ვერ მოესწრო გოგი გეგეჭკორი. კოტე და ბატონი გოგი გეგეჭკორი ამის ღირსნი იყვნენ და მაინც სასიამოვნოა, რომ ეს მოხდა. თეატრი უნიკალურია, იმიტომ, რომ საქართველოში მეორე ასეთი თეატრი არ არსებობს. ყველა ქართველმა უნდა ნახოს კოტეს სპექტაკლები. განსაკუთრებით ახალგაზრდობამ, რადგანაც ამ სპექტაკლებს საგანმანათლებელო ფუნქციაც აკისრიათ.

ახლა ერთადერთი სურვილი მაქვს, კოტეს ბოლო ოცნება — თეატრის ამენება განგახორციელოთ. ყველაფერი გაკეთებულია, მხოლოდ ფული გვაკლია. აღრე თუ გვიან გამოჩნდება ვინმე მეცენატი, ამის იმედი მაქვს და უნიკალური თეატრი დარჩება თბილისს, საქართველოს, ჩემს ხალხს.

* * *

ამბის ერთ საათუბილეო საღამოზე კოტე მახარაძემ წაიკითხა დიდი ილიას წერილი „ღმერთმა ნუ დაგბეროთო“: „ხიბერე, ბატონებო, რაც გინდათ თქვით, სენია და სენი გკბილი იყოს თუნდა მწარე, ორივე ღმერთმა დასწყევლოს... სხვისა არ ვიცი და შე კი ღმერთმა თავის დღეში ნუ დამბეროს...“

როგორ ესადაგებოდა ეს სიტყვები მსახიობის სულსა და ტკბილ. კოტე მახარაძე ფიზიკურად აღარ არის, მაგრამ მისი სპექტაკლების მეორე სიცოცხლე დაიწყო.

ნანული ზოტიკიშვილი.

სიმპოზიუმი

კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობა და ქართული სამართალი

რობრეს ცნობილია, დღეს ჩვენში მოქმედი კანონი მეწარმეთა შესახებ ქართველმა და გერმანელმა სამართალმცოდნეებმა ჯერ კიდევ 1994 წელს შეიმუშავეს. შემდგომ მან ბევრი ცვლილება განიცადა, მაგრამ ძალიან ბევრი რამ ისევ გასაკეთებელია, რათა უფრო დაახლოვოს სამეწარმეო ურთიერთობები, გამოსწორდეს ამ მხრივ არსებული ნაკლოვანებები.

სწორედ ამ ნაკლოვანებებზე, მათი გამოსწორების გზებზე და კანონის შესაბამისად მუშაობის გარდაქმნა-გაქეიურების შესახებ იყო სჯა-ბაასი სასტუმრო „მერიოტში“, სადაც ორი დღის მანძილზე მიმდინარეობდა რიგით მეორე გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართლის თაობაზე, რომლის ძირითადი თემა იყო „კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება და პასუხისმგებლობა საქციო საზოგადოებაში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით“.

სიმპოზიუმი გახსნეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ლადო ჭანგურიამ და GTZ-ის პროექტის „სამართლისა და იუსტიციის რეფორმების მხარდაჭერა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“ ხელმძღვანელმა ცენო რაიბენბეიერმა. მის მონაწილეებს მიესალმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი საქართველოში უვე მრამი.

სიმპოზიუმზე ყურადსაღები მოხსენებები წაიკითხეს ევროპის ეკონომიკური სამართლის ცენტრის წარმომადგენელმა მარკუს ლუთერმა — „საბაქციო საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის პასუხისმგებლობა თავისი წარმომადგენლების ქმედებებისათვის ქართული სამართლის მიხედვით“; ბრემენის უნივერსიტეტის მეცნიერმა თანამშრომელმა ეკა მენელაიამ — „საბაქციო საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის პასუხისმგებლობა თავისი წარმომადგენლების ქმედებებისათვის ქართული სამართლის მიხედვით“; ბრემენის უნივერსიტეტის მეცნიერმა თანამშრომელ ლალი ლაზარიშვილმა — „კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება და ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის უფლებები საბაქციო საზოგადოებაში“.

როგორც გერმანელ მეცნიერთა, ისე დამსწრე სპეციალისტთა განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა ლადო ჭანგურიას მოხსენებამ — „საბაქციო საზოგადოების დირექტორების კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება ქართულ სამართალში“, რომელიც მდიდარი იყო სამართლო პრაქტიკიდან მოხმობილი ფაქტებით.

საბაქციო საზოგადოებათა ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის გაბრდის ალგერნატიულ გზებს (იძულებიდან სტიმულირებამდე) შეეხო საქართველოს საფონდო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ლოლაძე, რომელმაც, თავის მხრივ, კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრებაზე გაამახვილა ყურადღება, რომლის დროსაც გამოყენებულ უნდა იქნას არა მარტო იძულების, არამედ სტიმულირების ფართო არსენალი.

სიმპოზიუმის ბოლო აკორდი იყო ბრემენის უნივერსიტეტის სამოქალაქო და ეკონომიკური სამართლის პროფესორის, დსთ ქვეყნებში კერძოსამართლებრივ საკითხებში მრჩევლის როლუ ენიერის დასკვნითი სიტყვა, რომელმაც დადებითად შეაფასა სიმპოზიუმის შუამავლობა და მისი მაღალ დონეზე ჩაგარებისთვის მაღლობით მოიხსენია ქართველი კოლეგები.

თეიმურაზ კინწურაშვილი.

თაობა

ჯილდო — ქვეყნისა და უნივერსიტეტის საუკეთესო წარდგინებისათვის

პოლონეთის ქალაქ გდანსკში, კემბრიჯის უნივერსიტეტისა და ევროკავშირის სასამართლოს ეგიდით ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რიგით მეცხრე იმიგირებული სასამართლო პროცესები გაიმართა, რომელსაც გდანსკის უნივერსიტეტმა უმასპინძლა. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ეს დონისძიება ყოველწლიურად იმართება. მთავარი მიზანი კი ევროკავშირის სასამართლოს რეალური პროცესების მაქსიმალური იმიგაციაა, განსახილველი საქმე ევროპის კავშირის კანონმდებლობის რომელიმე საკითხს ეფუძნება და ორგანიზმაგორებისა და ექსპერტთა კომიგეტის მიერ არის მომზადებული. პროცესები ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს.

საქართველო ამ შეჯიბრებაში წელეულს პირველად მონაწილეობდა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის შემადგენლობაში იყვნენ საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტები თამარ გოდერძიშვილი, ნინო ხაინდრავა, სალომე მეუნარგია; იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ანა ჯიბუტი. გუნდს ხელმძღვანელობდა კიევის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ამჟამად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის აგენტი თინა გოლეთიანი.

საქართველოს გარდა ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ჩეხეთის, ესტონეთის, უნგრეთის, ლატვიის, მოლდავეთის, პოლონეთის, რუსეთის, სერბეთის, სლოვაკეთის, სლოვენიის, უკრაინის გუნდები.

საქართველოს გუნდი მესამე ადგილზე გავიდა და თანაც მოსამართლეების განსაკუთრებული ჯილდო — ქვეყნისა და უნივერსიტეტის საუკეთესო წარდგინებისათვის — მოიპოვა. გუნდის ერთ-ერთმა წევრმა ანა ჯიბუტმა სპიკერად ჯილდოც მიიღო. მოსამართლეთა აზრით, პრეზენტაციის, ასევე ინგლისური ენის ცოდნით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი მონაწილეთა შორის საუკეთესო იყო. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოსამართლეების სპეციალური ჯილდო მეჯიჯრების ცხრაწლიანი ისტორიის მანძილზე პირველად გადაეცა მის მონაწილეს.

საქართველოს გუნდები უკანასკნელ წლებში საერთაშორისო სასამართლის იმიგირებულ სასამართლო პროცესებში აქტიურად და მნიშვნელოვანი წარმატებით მონაწილეობენ. ვამინგტონში გამართულ ფილიპ ს. ჯესაპის იმიგირებულ სასამართლო პროცესებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა მარმანწინ მეექვსე ადგილი დიიკავა, მარშან კი უნივერსიტეტელები ასევე წარმატებით მონაწილეობდნენ ტელდერის სახელობის იმიგირებულ სასამართლო პროცესებში, რომელიც პაიგაში გაეროს საერთაშორისო სასამართლოში გაიმართა.

ნათელა ფაილოძე.

სურათზე: იმიგირებული პროცესების მოსამართლე, ევროკომისიის წარმომადგენელი სერენ შონბერგი, ინგლისის ლორდთა პალატის იურიდიული კომიტეტის წევრი, ევროსასამართლოს გენერალური ადვოკატი ლორდი სლინი, ევროკომისიის წარმომადგენელი ტომას დაშვანკო-შერნ იმიგირებული სასამართლო პროცესების მონაწილეებთან ერთად.

პრობლემა

(დასაბეჭდ გვერდიდან)

საჭიროა მყარი და სრულყოფილი სადეპოზიტო დაზღვევის სისტემა

საქართველოში სათანადო დონეზე არაა განვითარებული მაკროეკონომიკური საფუძვლები. არ არსებობს „სამოქალაქო ფინანსური ბაზა“, არ არის ჩამოყალიბებული ქვეყნის ფინანსური ბაზარი, ხოლო სახელმწიფო თავისი სპბიუჯეტო პოტენციალით ვერ შეასრულებს გარანტორის ფუნქციას. ეს მისია, ალბათ, კერძო სექტორმა უნდა აიკისროს. ქვეყნის საბანკო იმიჯის ასამაღლებლად აღნიშნული წინაალმდეგობრივი ვითარება აუცილებლად უნდა დაიძლიოს, რაც მრავალ გეგეგბრობას აგვაცილებს.

უცხოელ ბანკირთა კითხვაზე, თუ როგორია საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, ჩვენი პასუხი, სამწუხაროდ, ერთმნიშვნელოვანია — არანაირი!! აქ მხოლოდ ბანკის სახელი და ბანკირის ავტორიტეტი „მუშაობს“.

არასტაბილური საფინანსო-ეკონომიკური სისტემის პირობებში, მოსახლეობის მხრივ ბანკებისადმი დაბალი ნდობის ფაქტორის გამო, რასაც, თავის მხრივ, საგარანტიო სისტემის არარსებობა განაპირობებს, განსაკუთრებით მარალდებიან ძლიერი და განვითარებული ბანკები. სპბანკო საქმეში აღნიშნული ფაქტორის მნიშვნელობას და მესაბამის ტენდენციის მსოფლიო პრაქტიკა აღასტურებს. მაგრამ, ასეთ ვითარებამიც, ზოგადეკონომიკურ ფონზე გამორჩეულ, მაგრამ ჯერ კიდევ არასრულყოფილ საბანკო სისტემას თავისი კორექტივები შეაქვს, რაც ობიექტურ მოტივაციას არ ექვემდებარება.

კერძოდ, ნებისმიერ ვითარებაში, ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ურთიერთობაში ბუნებრივად ჩნდება საერთო ინტერესების შემკვრელი კვანძი: მეანაბრისთვის მნიშვნელოვანია გარანტია, რომ გამოირიცხოს პირადი დანაზოგის დაკარგვის რისკი, ხოლო ბანკისთვის აუცილებელია დეპოზიტების მოზიდვა, მათი შენარჩუნება და ზრდა. ორივე ეკონომიკური სუბიექტი დაინტერესებული უნდა იყოს დაზღვევის სისტემის არსებობით, რათა შესაძლო არასტაბილურმა ვითარებამ რაიმე არაპროგნოზირებადი მიზეზით ანაბრების დაკარგვა ან ბანკებიდან მათი მასობრივი გადინების პროვოცირება არ მოახდინოს. ეს ბანკის გაკოტრებას თუ არა, მის დასუსტებას აუცილებლად გამოიწვევს. თავის მხრივ, სტაბილური საბანკო სისტემით დაინტერესებული უნდა იყოს ხელისუფლებაც, ე. ი. დაზღვევის სისტემის არარსებობა სამშიროებს უქმნის კლიენტსაც, ბანკსაც და ქვეყანასაც, აფერხებს მათ თავისუფალ ურთიერთობას, არჩევანისა და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობას. მაგრამ, აღნიშნულ მოგივაციათა მიუხედავად, საკითხის ლობირება ჩვენთან არც ცალკეული ბანკების, არც ხელისუფლების მხრიდან რაგიმღაც სათანადო აქტიურობით არ ხდება.

აქ განხილული პრობლემური საკითხები არც ისე იოლი გადასაწყვეტია. ამას ადასტურებს, მაგალითად, რუსეთში შექმნილი ვითარება, სადაც სბბანკო საქმის განვითარება გარკვეულად მაინც წინაა, ვიდრე საქართველოში.

რუსეთის გამოცდილებიდან, უპირველესად, აღსანიშნავია საკითხის საკანონმდებლო დონეზე მოუმწიფებლობა. კერძოდ, ამ დღეებში რუსეთის სახელმწიფო დუმამ, მთავრობასთან შეთანხმებით, უარი თქვა განეხილა კანონი დეპოზიტების დაზღვევის შესახებ. ექსპერტთა ვარაუდით, ამ საკითხს რუსეთის ხელისუფლებაში მხოლოდ ერთი წლის შემდეგ დაუბრუნდებიან. საკანონმდებლო აქტები



მიღებული არ არის, თუმცა, ცალკეული მსხვილი ბანკები უკვე აკეთებენ განცხადებებს ანაბრების დაზღვევებში მონაწილეობაზე...

სბბანკო რეფორმის შემაფერხებელი ვითარება, რასაც რუსეთში დეპოზიტების დაზღვევის შესახებ კანონის მიუღებლობა ქმნის, სხვადასხვა მიზეზითაა განპირობებული. უკვე რამდენიმე წელია, ანაბრების საგარანტიო სისტემის მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების განსჯა ისეთ არგუმენტებს უკავშირდება, როგორიცაა სისტემაში სახელმწიფო გარანტის სტატუსით „შემბანკის“ ჩართვის პრობლემა, სისტემაში გასაერთიანებელი ბანკების შერჩევის მეთოდიკა და საგარანგიო ფონდის სიდიდე, ე. ი. კომერციული ბანკების შენაგანების მოცულობა. აღნიშნული კანონის მიღება გარკვეულ წინააღმდეგობებს ქმნის, ასევე საგადამხედველო-მარეგულირებელ ორგანოებსა და კომერციულ ბანკებს შორის. და პირიქით, ასეთი წინააღმდეგობების არსებობა ხელს უშლის კანონის მიღებას. თვით ამ ფაქტორის არსებობა აღასტურებს, რომ რუსეთის სბბანკო სისტემა, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური სტრუქტურის ელემენტი, საიმედო არ არის. ალბათ, ამიგომაცაა, რომ საერთაშორისო სავალუგო ფონდის მისია რუსეთში მართალია არაფორმალურ, მაგრამ საკმაოდ მკაცრ რეკომენდაციებს იძლევა ანაბრების დაზღვევის სისტემასთან დაკავშირებით. ფონდის აზრით, სბბანკო-საფინანსო ანგარიმგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის გარეშე დაზღვევის სისტემა რუსეთში არამდგრადი იქნება. აქ იგულისხმება ბანკების გამჭვირვალობის ამაღლება და ამ ფონზე მოელი სბბანკო სისტემის სტაბილურობის მიღწევა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთში კანონის ლობირებას ხელს უშლიან

როგორ უნდა შეჯერდეს და გადაწყდეს საკითხები?

პირველესად, გადასაწყვეტია სადეპოზიგო სადაზღვევო სისტემის კონცეპტუალური მინაარსი, რაც სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია — ნებაყოფლობითი უნდა იყოს ეს სისტემა, თუ სავალდებულო, მასზე ზედამხედველობა არსებულ სახელისუფლებო სტრუქტურებს უნდა ევალებოდეს, თუ სპეციალურ არასამთავრობო ორგანიზაციას? ანაბრებთან მუშაობის ლიცენზია ყველა ბანკს უნდა მიეცეს (როგორც უკრაინაში), თუ ბანკების შერჩევა სპეციალური კრიტერიუმებით უნდა მოხდეს (როგორც რუსეთშია გათვალისწინებული)? მზად არის ქვეყნის ეკონომიკა, უპირველესად კი, სბბანკო სისტემა, ასეთი მნიშვნელოვანი სიახლისათვის თუ არა? რა წყაროების ხარჯზე შეიძლება დაფინანსდეს სადაზღვევო ფონდი? არსებული სადეპოზიგო ბაზის და ჩვენი სბბანკო პოტენციალის გათვალისწინებით, როგორი უნდა იყოს ამ ფონდის ზღვრული მოცულობა? ამ ეტაპზე აქცენტი ფიზიკურ პირთა ანაბრების დაზღვევაზე უნდა ავიღოთ, თუ იურიდიული პირების ვადიანი დეპოზიტებიც დაექვემდებარება დაზღვევას? უნდა შემცირდეს თუ არა სადაზღვევო სისტემასთან მიმართებაში ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი დარეზერვების ნორმა?

ამ საკითხების შეჯერება და გადაწყვეტა სბბანკო სისტემის შემდგომი განვითარებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა. ამასთან, გასათვალისწინებელია როგორც საქართველოს სპეციფიკა, საზოგადოების მენტალიტეტი და წარსული მაგალითები, ასევე სხვა ქვეყნების, მაგალითად, რუსეთის, ამერიკის გამოცდილება და შესაძლო პრობლემები.

ცხადია, მარტოოდენ ანაბრების დაზღვევის სისტემას არ შეუძლია მთლიანად უზრუნველყოს ეკონომიკური და სბბანკო ინფრასტრუქტურების შეუვალი სტაბილურობა. აქ უკვე არსებული პარალელური სტრუქტურებიც უნდა მოქმედებდნენ ეფექტიანად. საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ანაბრების დაზღვევა ვერ იცავს ბანკებს სისტემური კრიზისისაგან. ასეთ ვითარებაში, თუ დაზღვევის სისტემა სავალდებულოა და აქ ინიციატორი სახელმწიფოა, მეანაბრეთა ვალები სახელმწიფო ბიუჯეტიდანაც იფარება. ასე იყო, მაგალითად, შეერთებულ შტატებში 70-იანი წლების ეკონომიკური კრიზისის დროს. სამაგიეროდ, დაცული აღმოჩნდა მოქალაქეთა ინტერესები.

სბბანკო-სადაზღვევო სისტემის კონკრეტული, სრულყოფილი მოდელის ფორმა და მინაარსი წარმოდგენილ საკითხთა თანამიმდევრული, სკრუპულოზური შესწავლისა და ანალიზის შემდეგ თუ გადაწყდება, რაც ცალკე მსჯელობის საგანია.

თავად სისტემის ამოქმედება, ამ მხრივ პირველი ნაბიჯების გადადგმა, სბბანკო საქმის განვითარებისთვის და ქვეყნის მაკროეკონომიკური ფონის გაუმჯობესებისთვის საკმაოდ ეფექტიანი ნაბიჯი იქნება. მართალია, დღეს ჩვენ სბბოლოოდ მზად არ ვართ, მაგრამ რაღაც დონეზე პრაქტიკული მოქმედება უნდა დავიწყოთ. თავდაპირველად, სისტემაში ყველა ბანკი, ალბათ, ვერ ჩაერთვება, შესაძლოა, განვიხილოთ შემდეგული ვარიანტი. მოვა დრო და საქართველოს ყველა მეანაბარე სრულად დაეზღვევა.

ალბათ, საჭირო „ვიჩქაროთ ნელა“.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კვალობაზე, ობიექტური წინაალმდეგობრივი ფაქტორების დაძლევა და საკალდებულო ან ნებაყოფლობითი სადეპოზიტო დაზღვევის სისტემის დანერგვა საქართველოში სტაბილური, საიმედო და ეფექტიანი სბბანკო სისტემის საფუძველი გახდება.

ვლადიმერ პატეიშვილი,
„საქართველოს ბანკის“ პრეზიდენტი.

ჟურნალისტი პროფესიას იცვლის

კონკურენციის გამო კანონთან შეთამაშება არ შეიძლება

რად არ „გაურბის“ კალამი ნანა ლომაიას?

ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესები ისეთ ეშხში შევიდა, ადამიანის უფლებების დაცვაზე უკვე საგამოძიებო ორგანოებიც აცხადებენ პრეტენზიას. კარგა ხანია, გენერალურ პროკურატურაში არსებობს მობილური ჯგუფი, რომელიც წინასწარი დაკავების საკნებში დაკავებულთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე რეაგირებს. ამ საქმისათვის სპეციალური სამსახური აქვს ქალაქის პროკურორსაც, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ, როგორც იტყვიან, „კომისია გაბძელიერა“ და გენერალური პროკურატურის სელშეწყობით უფროსი თანაშემწე დანიშნა. ამ თანამდებობაზე ჟურნალისტურ წრეებში კარგად ცნობილი პიროვნება ნანა ლომაია მოვიდა, რომელმაც არა მხოლოდ პროფესია შეიცვალა (იურისტი გახდა), საპროკურორო გამოცდებიც დიდი წარმატებით წაბაბარა და ასიდან ასი ქულა დაამსახურა. „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებისათვის უდავოდ საინტერესო იქნება, ქალბატონ ნანასთან ინტერვიუ, მით უფრო, რომ მას ჩვენთვის ბევრი საგულისხმო რამ აქვს სათქმელი:

— ქალბატონო ნანა, თქვენ საკმაოდ წარმატებული ჟურნალისტური კარიერა გქონდათ — თავისუფალი გამეთის რედაქტორი ბრძანდებოდით. სანტგურესოა, რამ გიფიქრებინათ პროფესიის შეცვლა?

— ჩემი დღე და მოსწრება ჟურნალისტი ვარ და, რომ იცოდეთ, სულით ხორცამდე ჟურნალისტად დავრჩები. ამიგომ პროფესიის შეცვლა სულაც არ ნიშნავს, რომ ჟურნალისტიკაზე საბოლოოდ ვთქვი უარი. პირიქით — სწორედ ჩემი პირველი პროფესიის სიყვარულმა მაფიქრებინა მეორე პროფესიის შეძენა. მთელი ცხოვრება სამართლებრივ პრობლემატიკაზე ვწერდი და ერთ მშვენიერ დღეს მივიჩნიე, რომ უმჯობესი იქნებოდა, სპეციალური იურიდიული განათლება მიმეღო. იურიდიული ფაკულტეტი უკვე დამთავრებული მქონდა და გამეთის რედაქტორობას ვაგრძელებდი, როდესაც ქალაქის პროკურორმა თენგიზ მახარაძემ პრესსამსახურში უფროსის ფუნქციების შეთავსება შემომთავაზა. თავიდან ლაპარაკი იყო იმაზე, რომ კვირაში ერთხელ მიესულიყავი ქალაქის პროკურატურაში და მასმედიასთან ურთიერთობების საქმეში მიეხმარებოდა, მაგრამ ერთი დღე ერთი კვირით შეიცვალა, ერთი კვირა — ორი კვირით და ასე შემოვრჩი ამ სისტემას.

— გამოდის, რომ პროკურორრობის ჟანრიდან შუშაობა უფრო მოგეწონათ?

— ჩემთვის არავის დაუპალეთია, გინდა თუ არა, სულ ამ სამსახურში იყავიო, მაგრამ სულ მალე თავად მივხვდი, რომ დისგანეიერად ჩემს საკეთებელს ქალაქის პროკურატურის პრესსამსახურში სრულყოფილად ვერ გავაკეთებდი. ეს ის დრო იყო, როდესაც ბევრმა ლაგამი ახსნა თავის კალამს და ირგელივ სულ პროკურატურის ლანძღა-გინება გაისმოდა. რომ იცოდეთ, ამბები ჩემი კოლეგა ჟურნალისტების დადანაშაულება არც ახლა შემიძლია, რადგან თავის დროზე, მეც იგივეს ვაკეთებდი. საკმაოდ მწვავე პუბლიკაციებს თავადაც ვწერდი და საკუთარ გაზეთშიც ვაქვეყნებდი. მას შემდეგ კი, რაც საშუალება მომეცა პროკურატურის სისტემაში ღრმად და საფუძვლიანად ჩამეხედა, მივხვდი, რომ აქ ადამიანები კოლოსალურ მრომას ეწევიან და ამის დაუნახობა უმადურობაა, რამიც ვერავის დავმდურები, თუკი ამ სისტემის კულუარულ სიტუაციებში გარკვევის საშუალებას არ მისცემ. ცხადად მახსოვს ჩვენი პირველი პრესკონფერენცია, როდესაც სამართლის დარგში მომუშავე მასმედიის ყველა წარმომადგენელი მოვიწვიეთ და ერთად მოვილაპარაკეთ აქტიური თანამშრომლობის შესახებ...

— ნამდვილად ასე იყო, მაგრამ, ფაქტია: პროკურატურა ჟურნალისტებისათვის კვლავ ჩაკეტილ სისტემად რჩება, ანუ პრესისათვის ცნობილი ხდება მხოლოდ ძველი ფაქტები, ახალი და ცინცხალი ინფორმაციები კი იფარება. არ მეთანხმებით?

— ჩემთვის გასაგებია, რომ ღია საზოგადოების ცხოვრების წესის თანახმად, ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, მაგრამ კანონს თავისი ჩარჩოები აქვს და გამომიებას — მით უფრო წარმოუდგენელია, გამოძიების ხელთ არსებული ვერსიების შესახებ პრესის ფურცლებზე და ტელე-რადიო ეთერში ლაპარაკი. ჟურნალისტს შეუძლია თქვას ფრაზა „სანდო წყაროზე დაყრდნობით“ და მეკითხეს ამა თუ იმ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით საკუთარი ვერსიებიც შესთავაზოს, მაგრამ გამოძიებისათვის „სანდო წყაროს“ მხოლოდ მტკიცებულებაა, ურომლისოდაც საქმე სასამართლომდე ვერ მივა და ვერც სამართლის დადგენა მოხერხდება.

იხ. 30-ნ 33.

სხვა გაზეთიდან

ერთი დღე მონროსთან

სენსაცია ამერიკის კულტურულ ცხოვრებაში

„დამნაშავე!“ სენსაციაში, როგორც ყოველთვის, მერილინ მონროა. თითქოსდა, რით უნდა გააკვირვოს მან ახლა თავისი თაყვანისმცემლები: ეარსკვლავის ყველა ფოტოსურათი შეტანილია კატალოგებში, მისი ყველა ავტოგრაფი უკვე დიდი ხანია მტვრით იფარება მუზეუმის არქივებსა თუ კერძო კოლექციებში. და უცებ, ახალი ამბავი: საოცარ გარემოებაში იპოვეს ყველასათვის უცნობი კინოფილმი, რომელშიც მთავარ როლს მერილინი ასრულებს.

ერმი ჩვეულებრივი ამერიკელი, პროფესიით იურისტი, ლუის მენგონი ძველ ნივთებში იქექებოდა მამისეული სახლის სხვენში. ამ გროვაში მან იპოვა სკოჩით დაწებებული ყუთი, რომელშიც 8-მილიმეტრიანი კინოფირის კოჭი იდო. ეს ძველი კინოკამერის ფირი გახლდათ. ლუისმა გაიხსენა, რომ ასეთი კამერით იღებდნენ მისი მშობლები ძალზე დიდი ხნის წინ — როცა იგი და მისი ძმა ჯერ კიდევ მომპრდები იყვნენ. მაგრამ არც კამერა და არც რომელიმე სხვა ფირი სახლში შემორჩენილი აღარ იყო. მამ, რაგომ შეინახა მამამ ეს ფირი?

ლუისმა გვერდზე გადადო ყუთი და განაგრძო ნივთების დახარისხება. მაგრამ, იდუმალებით მოცული ნაპოვნი მას მოსვენებას არ აძლევდა. ბოლოს, ლუისმა ვეღარ გაუძლო ცდუნებას. მეორე დღეს მიამურა სპეციალიზებულ კინოსახელოსნოს და ითხოვა, გაერკვიათ, თუ რა იყო აღბეჭდილი ფირზე. სალამოს მას დურეკა სახელოსნოს გაოგნებულმა ხელმძღვანელმა და სთხოვა სასწრაფოდ მისულიყო.

ფირის სასინჯი ნასვლის დროს ლუისი კინაღამ გაგიჟდა. თურმე ძველი ანეკდოტი, ახლა უკვე თითქმის ლეგენდად ქცეული, რომელსაც ხშირად ჰყვებოდა მისი ძმა პიტერი, სამართლე ყოფილა.

ლეგენდა კი ასეთია: 1955 წლის აღრეული გაზაფხულის ერთ დღეს პიტერი ნიუ-იორკის ქუჩებში დასეირნობდა და ოცნებობდა მსოფლიოში ულამაზეს კინოვარსკვლავზე — მერილინ მონროზე, რომელიც ამ 14 წლის ჭაბუკის პირველი სიყვარული გახლდათ. უფრო მეგიც, პიტერმა ამის შესახებ ფილმიც კი გადაიღო.

ფირზე სწორედ ეს ფილმი იყო აღბეჭდილი.

ლუისი სახელოსნოდანვე დაუკავშირდა ტელეფონით CMG Worldwide კომპანიას, რომელიც მერილინთან დაკავშირებულ ნებისმიერ მასალაზე ექსკლუზიურ უფლებას ფლობს. ლუისს უპასუხეს, რომ ასეთი ფილმის შესახებ არაფერი იციოდნენ. ეარსკვლავის უკანასკნელი უცნობი ფოტოსურათები, რომლებიც ფოტოგრაფმა მილტონ გრინმა გადაიღო, ორი წლის წინ გამოაქვეყნა ბრიგანულმა „სანდი გაიმსმა“. რაც შეეხება კინოფილმებს, ერთი-ორჯერ გიიღეა რაღაც საცოდავმა სიყალბემ.

მაგრამ სახელოსნოში დაადასტურეს, რომ ფილმი ნამდვილი იყო.

„საოცარია, რომ იგი ასე კარგადაა შემონახული, — უთხრეს ლუისს სპეციალისტებმა. — მუყაოს კოლოფი, რომელშიც ფირი ინახებოდა, თითქმის არ დაზიანებულა, თვით ფირის მდგომარეობაც ჩინებულია“.

მამაშინ ლუისმა პირველად იგრძნო სინდისის ქენჯნა. საქმე ის არის, რომ პიტერს ხშირად მოუყოლია მისთვის მერილინ მონროსთან სეირნობის ამბავი. მაგრამ ლუისი, რა თქმა უნდა, არ უჯერდა ძმას. იგი მას დასცინოდა კიდეც. ახლა კი ლუისმა საკუთარი თვალით ნახა ამის მტკიცებულება და გადაწყვიტა სასწრაფოდ დაერეკა პიტერისათვის.

პიტერი ყველაზე მეტად გაოცა იმან, რომ ფირი საერთოდ იპოვეს. მან ძმას უამბო, რომ როგორც კი 17 წელი შეუსრულდა და გადაწყვიტა, რომ უკვე დიდი ბიჭი და კარგა ხანია გამოვიდა კინოვარსკვლავებით გატაცების ასაკიდან, ნაგავს გაგაგნა ყველაფერი, რაც მერილინს უკავშირდებოდა. იგი გამონაკლისი არ ყოფილა: ადამიანები ყოველთვის სასაგიკად ექცევიან მოყირჭებულ კერპებს. მივიწყების პერიოდი, როცა მერილინი თითქმის არავის აღარ აინტერესებდა, კინომსახიობის ცხოვრებაში სწორედ მისი გარდაცვალების წინ დადგა.

როგორც გაირკვა, ფილმი პიტერს ხანაგი. სწორედ გაზეთებიდან მეიგყო პიტერმა, თუ ნიუ-იორკში რა ადგილზე ცხოვრობდა მერილინი და თითქმის ყოველ დღეს ელოდა მას აღმოსავლეთის 52-ე ქუჩის სასტუმრო „ლანდსტონუნთან“. და ეს ხდებოდა ყოველდღე, მცხუნვარე მზესა თუ კოკისპირულ წვიმაში, მანამეგენის ჭირვეული ამინდის მიუხედავად. ვინ უწყის, რაზე ოცნებობდა

მომდევნო საათმა, ან იქნება მეტმაც — პიტერს დროის ანგარიში აერია — ისე განელო, როგორც კინომი. სამივე ერთად — პიტერი, მერილინი და მილტონი — ნიუ-იორკის ქუჩებში დასეირნობდნენ. მე-5 ავენიუზე მერილინმა კოსმეტიკა და ახალი ფესსაცმელები იყიდა. იგი კარგ ხასიათზე იყო და პიტერს ხალისიანად უყვებოდა, თუ როგორ ეთაყვანებოდა ნიუ-იორკს, განსაკუთრებით უბარმაზარი ცათამბჯენები მოსწონდა, რა დიდი ხალისით დადიოდა ხოლმე მაღაზიებში და როგორ უყვარდა ფესსაცმელების ყიდვა — ფესსაცმელი ხომ ქალისათვის უმთავრესი რამ არის. მერილინი პიტერს ისე ექცეოდა, როგორც ძველ ნაცნობს — უბრალოდ, ბუნებრივად.

მთელი ამ დროის განმავლობაში პიტერი ფირზე იღებდა მერილინს. ყოველივე ამის შედეგად გამოვიდა დაახლოებით 10-წუთიანი ფილმი, თუმცა, გადაღების ხარისხი არცთუ ისე სახარბიელო იყო, რადგან პიტერს ხშირად უკანკალებდა ხელი.

პიტერს აღარ ახსოვს, თუ როგორ გამოემშვიდობა მერილინს და როგორ დაბრუნდა მინ.

8-მილიმეტრიან კინოფირზე გადაღებული ეს დღე ერთ-ერთი უკანასკნელი ბედნიერი დღე იყო იმ ბოგონას ცხოვრებაში, რომელიც თავს მერილინ მონროს უწოდებდა. ამას მოჰყვა დაბრუნება ჰოლივუდში და ბრძოლა, დაუსრულებელი ბრძოლა მამაკაცებთან, დიდებასთან, ნარკოგიკებთან და დეპრესიასთან.

იგი გარდაიცვალა 1962 წელს, 36 წლის ასაკში, ჭარბი რაოდენობის აბების მიღების შედეგად. პიტერმა გადააგდო მისი ყველა ფოტოსურათი, ფირიც და დამწყვეტი პარიკმახერი გახდა. და აი, ნახევარი საუკუნის შემდეგ ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ასე დასრულდა ეს ჭეშმარიტად ჰოლივუდური „ლავ სთორი“ ეარსკვლავზე, მის 14 წლის თაყვანისმცემელსა და ერთ დღემე, რომელიც მათ ერთად გაგაგრეს.

სამოყვარულო ფირებზე ხმის ჩაწერა მაშინ შეუძლებელი იყო. პიტერმა, რა თქმა უნდა, ბევრი რამ გაიხსენა მერილინის მონათხრობიდან. მაგრამ, სამწუხაროდ, უკვე ვერავინ გაიგონებს მის ხმას და ვეღარ გაარჩევს სიტყვებს. შემოგერჩა მხოლოდ ღიმილი, ტუჩების მოძრაობა, და ეს ძალზე სიმბოლურია, რადგან 1950-იანი წლები პაეროვანი, კეთილი და ბავშვურად ლაღი დრო იყო. მხოლოდ მამინ შეეძლო უბრალო გოგონას ნორმა ჯინს, გამხდარიყო კამკამა ეარსკვლავი — მერილინ მონრო, პიტერ მენგონს კი — შეხვედროდა მას ნიუ-იორკის ქუჩაში.

„მისტერ მენგონთან დაკავშირებული ეს შემთხვევა საოცარია, მაგრამ უნიკალური — არა, — მიაჩნია CMG Worldwide-ის წარმომადგენელს ბეტ ვეილს. — საკსებით დასაშვებია, რომ კერძო კოლექციებში დღემდე იყო შემონახული მერილინ მონროს ამსახველი სამოყვარულო ჟანრები, რომლებსაც სპეციალისტები არ იცნობენ. 1950-იან წლებში ხომ ასეთი შემთხვევები იშვიათობა არ იყო“.

2000-იან წლებში კი ეს იშვიათობად იქცა. დღეს ხომ ჭუთიერი ბედნიერების გრძნობა, ის უშალობა და ბავშვურობა, რომელმაც ნორმა მერილინად აქცია, ისევე გაქრა და გაუჩინარდა, როგორც ეარსკვლავის სხვა კინოფირზე. ჰოდა, სწორედ ამიგომ, უკვე ასაკში შესული პიტერ მენგონი იმგვრვეს ახლა თავს, თუ რამდენად შეეფასოს მერილინი და მათი კუთვნილი ხანმოკლე გაგაფხულის დღე? არადა, მერილინის მხოლოდ ერთი ფოტოსურათი 2002 წელს „კრისტის“ აუქციონზე 22.200 დოლარად გაიყიდა. პიტერს კი მთელი კინოფილმი აქვს! დიდი ბიჭები ხომ, რაგომღაც, ყოველთვის ფულზე ფიქრობენ.

კირილ ჭურეკოვი
ჟურნალი „ოგონიოკი“ №21.
2003 წლის ივნისი.

• „კუბა ანაქრონიზმია დასავლეთ ნახევარსფეროში“
• მავრიტანიასა და ლიბერიაში აშშ საელჩოს დაცვის გაძლიერებისთვის
• რეჟიმის სისხლიანი კვალი

პაუელი კუბის საწინააღმდეგო აგიტაციას ეწევა

სანტიაგოში ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის სხდომაზე გამოსვლისას, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა მოუწოდა დასავლეთ ნახევარსფეროს სხვა სახელმწიფოებს დაუჭიროს მხარი „ვაშინგტონის ძალისხმევას“, „რომლის მიზანია დაჩქარდეს კუბის დემოკრატიულ რეალობაზე გადასვლა“.

ჯერ კიდევ სანტიაგოში ჩასვლამდე პაუელმა განუცხადა ჟურნალისტებს, რომ კუბა არის „ანაქრონიზმი დასავლეთ ნახევარსფეროში“. მაისში პრეზიდენტი ბუში აცხადებდა, რომ ვაშინგტონი კვლავ დაუჭერს მხარს კუბელ დისიდენტებს და თავისი ასეთი მოსაზრება მან იმ არგუმენტით განამტკიცა, რომ „ამერიკის კონტინენტზე არ არის ადგილი დიქტატურისათვის“. ბუში შეხვდა 11 ყოფილ კუბელ პოლიტპატიმარსა და მათ ნათესავებს, აგრეთვე ქვეყნიდან გაიძევეს 14 კუბელი დიპლომატი, რომლებიც ჯაშუშობაში დაადანაშაულეს.

ბუშის ადმინისტრაციას „ფრთები შეასხა“ ევროკავშირის მოქმედებამ, რომელმაც ნეგატიური რეაქცია მოახდინა თავისუფლების კუნძულზე განხორციელებულ რეპრესიათა ბოლო გალღაზე. კუბაში, როგორც ცნობილია, სხვადასხვა ვადის პატიმრობა მიუსაჯეს 75 „სხვადასხვარად მოაზროვნეს“, მათ შორის ჟურნალისტებსა და დამოუკიდებელ ბიბლიოთეკათა ორგანიზატორებს, ფლორიდაში ბორნის გატაცების წარუმატებელი მცდელობის სამი მოთავე კი, ხანმოკლე სასამართლო პროცესის შემდეგ, სიკვდილით დასაჯეს.

პავანამ დიდი ხანია მურგი მეაქცია ამერიკის შეერთებულ შტატებს, მაგრამ იგი თავს იმის უფლებას ვერ მისცემს, რომ მთლიანად დაკარგოს მხარდაჭერა ევროპაში, რომელიც კუბის მთავარი სავაჭრო პარტნიორია (ევროპის წილად მოდის კუბის საგარეო ვაჭრობრივ მოცულობის 34 პროცენტი). ევროპა, აგრეთვე, არის მთავარი ინვესტორი კუბაში და ამ ქვეყანაში ტურიზმის მასაზრდოებელი მთავარი წყარო (კუბაში ყოველწლიურად ჩასული მილიონ 700 ათასი ტურისტიდან 800 ათასი ევროპელია). მაგრამ პავანის ურთიერთობა ევროპასთან ძალზე გაუარესდა კუბაში რეპრესიების ახალი გალღის შედეგად. ევროპელები დისიდენტებს აწევენ თავიანთ საელჩოებში და უკვე არაერთი კვირაა კუბის უმაღლესი სახელმწიფო მოხელეები ეღარ ესწრებიან ამ დიპლომატიურ მისიებში გამართულ დარბაზობებს, თუმცა არც ევროპელი დიპლომატები დაუპატიჟებიათ პავანაში გამართულ გრანდიოზულ საპაროელმაისო მეიმშე. გასულ ხუთშაბათს ევროკავშირმა გამოაცხადა, რომ შემოიღებს სანქციებს კუბის წინააღმდეგ.

ამ ფონზე ლათინური ამერიკა კუბისათვის, ალბათ, უფრო სტუმართმოყვარე ჩანს. მართალია, კუბა ჯერ კიდევ 1962 წელს გარიცხეს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის შემადგენლობიდან, მაგრამ თავისუფლების კუნძულს მაინც დარჩა მეგობრები დასავლეთ ნახევარსფეროში, უწინარეს ყოვლისა, ბრაზილიის მეთარეხენე პრეზიდენტის ლულა ინასიო ლულა და სილვას და მისი ვენესუელი კოლეგის უგო ჩავესის სახით.

სანგიაგოს შემდეგ პაუელი არგენტინას ეწვევა, სადაც შეხვდება ქვეყნის ახალ პრეზიდენტს ნესტორ კირხნერს, რომლის ინაუგურაციასაც ამ ცოტა ხნის წინათ ესწრებოდა ფიდელ კასტრო და მქუხარე გამეიე დაიმსახურა თავისი ანგიამერიკული გამოსვლით. ერაყის ომი ლათინურ ამერიკაში არ არის პოპულარული, გარდა ამისა, იქ უკმაყოფილონი არიან ომის გამო	q, რომ ბუშმა, რომელიც თავდაპირველად აპირებდა მტკიცედ მოეკიდა ხელი რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის, პირწმინდად დაივიწყა ყველაფერი 11 სექტემბრის ცნობილი მოვლენების შემდეგ.

ვაშინგტონმა იცის, რომ კუბის საკითხი შეიძლება გახდეს უთანხმოების წყარო ლათინურამერიკელ პარტნიორებთან ურთიერთობაში და ამიგომაც დათანხმდა, რომ იგი ოფიციალურად არ შეეგანათ ამკომინდელი შეხვედრის დღის წესრიგში.

ამერიკელები ჯარისკაცებისა და თვითმფრინავების გაგზავნას აპირებენ მავრიტანიასა და ლიბერიაში

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დაცვის გაძლიერებისა და ამერიკელთა დიპლომატიური პერსონალის შესაძლო ევაკუაციისთვის მზადების მიზნით, ევროპაში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების სარდლობის შტაბ-ბინიდან სამშაბათს მავრიტანიის დედაქალაქ ნუაქშოტში ჩავა ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა 34 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი. ეს ხაზგასმულია ამერიკელ შეეროებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის წერილში, რომელიც მან ორშაბათს გაუგზავნა ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატასა და სენატის ხელმძღვანელებს. თეთრი სახლის მეთაური კონგრესის ლიდერებს აცნობებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დაცვის გაძლიერებისა და შესაძლო ევაკუაციის მომზადების მიზნით, 8 ივნისს ლიბერიის დედაქალაქ მონროვიაში ჩავიდა 35 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე.

ამჟამად სენეგალის დედაქალაქ დაკარში გამზადებულია რამდენიმე თვითმფრინავი, რაც შეამცირებს მავრიტანიიდან და ლიბერიიდან ამერიკის მოქალაქეთა ევაკუაციის დროს, თუ წარმოიქმნება ამის აუცილებლობა, ხაზგასმულია ბუშის წერილში.

დოკუმენტში აგრეთვე, აღნიშნულია, რომ 8 ივნისს მავრიტანიაში სახელმწიფო გადატრიალების მედელის შემდეგ, ქვეყნის დედაქალაქ ნუაქშოტში კვლავ გრძელდება საომარი მოქმედება, ორშაბათ დილით კი სროლა ისმოდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოდან სულ რაღაც სამ კილომეტრზე. ლიბერიასა და მავრიტანიაში გაგზავნილ ამერიკელ სამხედროებს „შეუძლიათ განახორციელონ საომარი მოქმედება“, მაგრამ მათი მისია მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეთა უშიშროების უზრუნველყოფითა და ამ ორ ქვეყანაში ამერიკის საკუთრების დაცვით შემოიფარგლება. სამხედრო მოსამსახურეებს გამოიხმობენ დაუყოვნებლივ, როგორც კი დამყარდება სიმშვიდე და აღარ დაემუქრება საფრთხე ამერიკის საელჩო კომპლექსს, წერს თეთრი სახლის მეთაური.

ბაღდადში იყიდება ვიდეოფირები, რომლებზეც აღბეჭდილია ერაყელების წამებისა და დახვრეტის ამსახველი კადრები

ბაღდადის ქუჩებში შეიძლება იყიდოთ ვიდეოკასეტები, რომლებზეც აღბეჭდილია სადამ ჰუსეინის მმართველობის პერიოდში უბრალო ერაყელების წამებისა და დახვრეტის ამსახველი კადრები. ამ სიშავრელ ვიდეოპროდუქციას ძირითადად ის ერაყელები ყიდულობენ, რომლებიც ცდილობენ შეიტყონონ, თუ რა ბედი ეწიათ მათ ახლობლებსა და ნათესავებს.

